



ლიბეხანი

№ 50 / 1 - 7 ნომბერი / 2010

ფული და ყვირილი – არჩევნები ამერიკაში **გვ. 36**

რუსეთი: დიდი საპრაზიდიანტო რბოლა **გვ. 19**

ორი აზრი: ფინანსების „კაღალი“ საჯარო თუ პირადი? **გვ. 08**

სარეზერვო ფონდები: დანერგული საჯარო ინფორმაცია **გვ. 26**

რეპორტაჟი: ნაკომანიდან ეკლესიამდე **გვ. 30**

მედიაციის ტიპი: პროფესია – ჟურნალისტი **გვ. 40**

ნიკო ნერგაძე: მარკ ცუკერბერგს მოსწონს შენი სტატუსი **გვ. 45**

მღელვარე „დიქსი“, თითქმის, როგორც „სტიქსი“ **გვ. 43**

ლუბა გულაძე: თბილისობა **გვ. 42**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ოფისი ახ ახის შოხს

გვ. 10



FM
სენობი
98.0





ტრამვაი თბილისში, 50-იანი წლები

ნომერები:

- 02 ფოსტა
- 04 ფოტო
- 05 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 06 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 08 **ორი აზრი**
ფეისბუქზე
გამოქვეყნებული
ინფორმაცია საჯაროა თუ
პირადი?
დავით ზურაბიშვილი VS
მარინა იმერლიშვილი
- 10 **მთავარი თემა**
ოფშორი არ არის შორს
მსოფლიო
- 17 ვიქტორ იანუკოვიჩის
დიპლომატიური
ბიზნესი
მეზობლები
- 19 დიდი რობლა

პოლიტიკა

- 22 დააკავეს... ვინ იქნება
შემდეგი?
- 23 პოლიტიკური
ნოემბერი
ინფორმაციის საჯაროობა
- 26 დაზღუდული საჯარო ფონდი
რეპორტაჟი
- 30 ჭაობიდან ეკლესიამდე
საზოგადოება
- 33 ტრამვაი ბრუნდება
- 36 **თვალსაზრისი**
ფული და ყვირილი:
არჩევნები ამერიკაში
მარკ მალენი
- 38 **თვალსაზრისი**
ინტერნეტი, როგორც
სასწავლო სივრცე
სიკო ჯანაშია
მედიაკრიტიკა
- 40 პროფესია – ჟურნალისტი

თვალსაზრისი

42 თბილისობა



კულტურა

- 43 მლელვარე „დიქსი“,
თითქმის, როგორც „სტიქსი“
- 45 მარკ ცუკერბერგს მოსწონს
შენი სტატუსი
ნიკო ნერგაძე
სპორტი
- 47 რუნის სახელი
გიო ახვლედიანი
**ქალაქში მოხეტიალე კაცის
ჩანაწერები**
- 48 ერთხელ ავჭალაში

ბარეკანზე:

ოფშორი არ არის შორს
ილუსტრაცია: რუსლან ბერიძე



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის
„ლია საზოგადოება - საქართველოს“
მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო
მასალაში გამოთქმული მოსაზრება
არ გამოხატავს ფონდის „ლია
საზოგადოება-საქართველოს“
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed
by the authors and those providing comments
are theirs only and do not necessarily reflect the
position of Open Society Georgia Foundation.
Therefore, the Open Society Georgia Foundation
is not responsible for the content of the
information material.

PRIME TIME

„ზემოხსნებული გაზეთი როცა ე.წ. ვარსკვლავების ე.წ. ინტიმურ ისტორიებს ბეჭდავს, ქართული სინამდვილეც ავიწყდება. ამ სინამდვილეში დედ-მამიშვილობის, ძმაკაცობის, დედაშვილობის თუ ოჯახისშვილობის ანაქრონისტული ინსტიტუტები ჯერ ისევ ფუნქციონირებს და შესაბამისად, ამ ჟურნალის პუბლიკაციები მხოლოდ მიზანში ამოღებული ობიექტის ღირსებას როდი ეხება“ – ლიბერალი ნინიასგან მართლაც საკვირველია მსგავსი შეფასება. „პრაიმ ტაიმის“ ვეილი არ გახლავარ, მაგრამ რომელ ლიბერალურ და დემოკრატიულ ქვეყანაში გინახავთ, რომ ტაბლოიდს აკრძალვებს უწესებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ვილაციისთვის სტატია მიუღებელია, თუნდაც დეიდაშვილისთვის, მამიდაშვილისთვის, ბებიისთვის თუ ბაბუისთვის?!

mohajiri

ამ მოწოდებას, ვილაც ერთი ადამიანის მორალის და სინდისის გაღვიძების იმედით აკეთებთ? სასაცილოა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. როგორ უნდა მოსთხოვო ადამიანს მხოლოდ მორალის საფუძველზე ხელი აიღოს საქმიანობაზე, რომელსაც ათასები, ათი ათასები, მილიონები შემოაქვს. და რას ეტყვი, შენ არ გააკეთო ეს, იმიტომ, რომ ცუდია? თუ ცუდია, კანონი რისთვის არსებობს? ოდესმე სადმე რამე აკრძალულა ცარიელი დამოძღვრით.

თქვენი მოსაზრების გარდა არსებობს სხვა მოსაზრებებიც, ყვითელი პრესის წარმომადგენლებს თავისი ახსნა აქვთ.

შევეჯიბროთ ვისი აჯობებს, თუ როგორ დავადგინოთ ჭეშმარიტება? ის, რაც კანონით არ იკრძალება და არ ისჯება ნიშნავს, რომ დასაშვებია! მე შეიძლება დავგმოზოგადად ყვითელი პრესის არსებობა, მოვითხოვო დაუნესდეთ შეზღუდვები, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიშვებ თითს ცალკეული ჟურნალისტების მისამართით. იმიტომ, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან სხვა ადამიანებისგან. ასეთია ადამიანის ბუნება და რა ვქნათ?

ანა



ხალხს იზიდავს სიშიშველ და სანახაობა, მიეცით ხალხს პური და სანახაობა, აი, ზუსტად ეგ დროა ჩვენთვის. გილიოტინაზე ხალხი ყელეტაში იხოცებოდა, ოღონდ სხვისი განცდები დაენახათ და სხვაზე ძალადობას შესწრებოდნენ. დღეს ჩვენი ტაბლოიდებიც გილიოტინის როლს ასრულებენ და მათ კონკურენციას ვერავინ უწევს, ეს მათი მესვეურების ბრალი კი არა, ტვინის დეგრადირებული უჯრედების ბრალია, რომელიც მხოლოდ ჭორაობისთვის არის მომართული.

სტუმარი

ალკოჰოლის ეპოქა

არაფერია შეუძლებელი! მე პირადად, 4 წელია, წვეთი სასმელი არ დამილევიან – მანამდე იცოცხლეთ, ვსვამდე უზომოდ ბევრს და ხშირადაც, თან ყველა აღნიშნავდა ჩემს „კარგ სიმთვრალეს“, მიყვარდა ცეკვა, სიმღერა, ზუმრობა. მაგრამ, ერთ დღესაც, შევატყვე ჩემს თავს, რომ სასიათი შემცვლოდა უარესობისკენ. ნაბახუსევიც საშინლად მიძიმედ გადასატანი გამიხდა. იქამდე მივედი, რომ სარკიდან სულ სხვა ადამიანი შემომყურებდა! მაგრამ, შევუძახე ჩემს თავს, ვეომე და ვებრძოლე! გამიჭირდა, მაგრამ ოჯახისა და შვილების სიყვარულმა, ზვალინდელ დღეზე ფიქრმა („ვინ მიმიხედავს შეილებს მე თუ მოკვდები?...და ა.შ.“), მომცა ძალა ჩემს თავზე გამარჯვებისა, გავთავისუფლდი იმ საშინელი მაგნიტისაგან, ასე რომ მიზიდავდა ერთ დროს.

gisakadze

გავთავისუფლდით თუ არა საბჭოთა მინტალოზისგან?

ჩვენ ვერ გავთავისუფლდით არა საბჭოთა, არამედ – პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობისგან, ვერ ჩამოვყალიბეთ ფაქელობები, რომელიც ჩაანაცვლებდა კომუნისტურ იდეოლოგიას და შესაბამისად, ვცხოვრობთ მორალურ ქაოსში, სადაც დემაგოგია თვითდამკვიდრების ყველაზე ბასრი ინსტრუმენტი. რა თქმა უნდა, საბჭოთა სიმბოლიკის განადგურება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენს უსუსურობას და ამით უფრო ვიმყარებთ კომუნისმის მასაზრდობელ ერთ-ერთ ძირითად გრძნობას – ფარისევლობას.

ბექა

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო შუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი, ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი
შპს რედაქცია: მანია ნილაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვალური, თამარ ფარდაშვილი, ნინო ჩიქაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულუაშვილი
კონსტრუქციები: მარე მალუნი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯავაძე, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, მოლი კორსო, ვალერი ძუცუცი, ლექსო ჩქარეული, ემილ სულემინაოვი, ირაკლი კობახიძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლინაძე
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
მარკეტინგული: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ბაიშვილი: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge



**ნიმუ ბაქიჰვილის ბლოგი
 დაჭერების მეორე ტალღა**

მგონი, არ მეშლება და ესეც მეორე ტალღაა – დაჭერების მეორე ტალღა. იქნებ არცაა მეორე, მესამე ან მეოთხეა – 7 ნოემბრისა და შარშანდელი სამთვიანი აქციების დროსაც უამრავი ადამიანი მოხვდა ციხეებში. პირველი კი ნამდვილად რევოლუციის შემდეგ იყო – გაცილებით უფრო აგრესიული, უხეში, ადამიანის ღირსების და პატივის შემლახავი, ვიდრე დღესაა. მაშინ დაჭერებს ლამის პირდაპირ ეთერში ვუყურებდით და თავიდან, რევოლუციით გაბრუნებულებს, პროტესტიც იშვიათად გვიჩნდებოდა, რადგან ვიცოდით, რომ ძალოვანები სწორედ იმათ იჭერდნენ, ვინც დასაჭერი იყო – კანონიერ ქურდებს, კრიმინალებს და ყოფილ ჩინოფნიკებს. გვეგონა, რომ ახალი ქვეყნის ასაშენებლად მთავარია, დაიჭირო.



**გიორგი ცხადაიას ბლოგი
 უფროსი ძმა 2**

ამას წინათ მოწყენილი ვიყავი და „ლიბერალის“ ახალ ბლოგერს-ანინას შევეხებინა. ვიფიქრე, რამე საინტერესო ისტორია ექნება და გულს გადავაყოლებ-მეთქი. უფროს ძმასთან უჩხუბია. ძმასთან ჩხუბი კიდევ ისეთი რამეა, რაც ჩემს ცხოვრებაშიც არა ერთხელ მომხდარა – ოლონდ პირიქით, უფროსი ძმა მე თვითონა ვარ.

**მულტიმედია
 მოდის კვირაული
 2010**

მსოფლიო მოდის კვირეულების რიცხვს უკვე მეორე სეზონია, საქართველოს მოდის კვირეულიც შეუერთდა. გაზაფხულზე წარმოდგენილი შემოდგომა-ზამთრის კოლექციების შემდეგ ქართველმა და უცხოელმა დიზაინერებმა 22-25 ოქტომბრის ჩათვლით თბილისში 2011 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციები აჩვენეს.



საჩივარი „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ წინააღმდეგ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. იურისტები სტუდია „მონიტორის“ მიერ მომზადებულ საგამოძიებო ფილმს ეყრდნობიან. ფილმში აღწერილია, როგორ არღვევენ ტელეკომპანიები მაუწყებლობის შესახებ კანონით განსაზღვრულ რეკლამის განთავსების წესებს.



დაშინების ახალი მეთოდი

თბილისში კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირების სისტემა შემოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვთქვათ, სრულად ან თუნდაც ნაწილობრივ არ გადაიხდით დასუფთავების ან წყლის გადასახადს, ელექტროენერგიასაც გაგითიშავენ.



ბიან ყანჩელის 75 წლის იუბილეა ხუსთავაძის თეატრში

კონსერვატორიის დიდ დარბაზში აჟღერებული ნაწარმოებების შემდეგ დიდი კომპოზიტორის იუბილემ რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გადაინაცვლა. ჯერ აჟღერდა „დიქსი“, ხოლო მეორე განყოფილებაში მაყურებელს რობერტ სტურუას მიერ წლების წინ დადგმული სპექტაკლი „სტიქსი“ წარუდგინეს, რომელიც სწორედ ყანჩელის მუსიკითაა შთაგონებული.

უფხოსი ძმა

ანინა ბუკიას ბლოგი

„ძმები მინი-მამები არიან“ – გავიფიქრე მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ ვეჩხუბე ჩემს უფროს ძმას.

ბავშვობაში ჩვენ მხოლოდ იმაზე ვჩხუბობდით, რომ მე მეტი დროის გატარება მინდოდა მის კომპიუტერთან. ახლა კი, როცა ორივე ზრდასრული ვართ (და მაინც, ის უფრო ზრდასრულია, ვიდრე მე), მივხვდით, რომ განსხვავებული ღირებულებათა სისტემა გვაქვს და უთქმელად შევთანხმდით, რომ საკამათო საკითხებზე აღარ უნდა ვილაპარაკოთ.

საკამათო საკითხები კი ბევრია, დანაწევრებული გენდერით, დასრულებული იმით, უნდა გავთხოვდე თუ არა შავკანიანზე. ჩვენ ძალიან, ძალიან ბევრი გვიკამათია ამ თემებზე და ყოველი ასეთი კამათის შემდეგ, მე ვფიქრობდი, რომ მიუხედავად ასაკში მხოლოდ ოთხნობიანი სხვაობისა, ჩემი ძმა მაინც სხვა თაობას ეკუთვნის. ჩემი ძმა კი.. ვეცდები გამოვიცნო, რას ფიქრობდა... ალბათ, იმას, რომ ნაკითხული წიგნების რაოდენობა სინამდვილეში ბევრს ვერაფერს ცვლის.

პირველად „1984“-ის კითხვისას მივხვდი, რომ დიდი ძმა მხოლოდ ჩემი კი არა, კაცობრიობის პრობლემაც შეიძლება იყოს. ჩემი ღრმა რწმენით არავის, არავის სიამოვნებს, როცა აკონტროლებენ (არც იმ გოგოებს, რომლებიც ამბობენ, გესიამოვნებსო). სამაგიეროდ, ყოველთვის მოიძებნება ერთი-ორი ისეთი ადამიანი, რომელიც სიამოვნებით გაგაკონტროლებს და როგორც წესი, თვითონ ეს ერთი-ორი ადამიანი არასდროს არავის გაუკონტროლებია.

თუმცა თვალთვალი და „მზრუნველობა“ ძმებისგან კი არა, მშობლებისგან იღებს სათავეს. პირველ რიგში, სწორედ მათი მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ 10-ზე სახლში იყო, ყოველ-

თვის ამინდის შესაფერისად გეცვას, შეყვარებულთან მაქსიმუმ პეტიციით დაკავდე და ასე შემდეგ. ასეთსავე პრეტენზიებს ბიჭებს არავინ უყენებს. როგორც წესი, მშობლები მოჩვენებით მრისხანებას იჩენენ, როცა მათი „სიამაყები“ მოწევას იწყებენ მერვე კლასში, არ ბრაზობენ, თუ ისინი ძმაკაცებთან რჩებიან ღამით და როცა ამ ყველაფერს მათი ქალიშვი-



ლები აპროტესტებენ, ურყევი არგუმენტი მოჰყავთ: „ის ბიჭია“, თითქოს ეს რაიმე სხვას ნიშნავდეს, გარდა იმისა, რომ „ის“ მართლაც ბიჭია. ასე რომ, ძმათა უმრავლესობას საერთოდ არ გამოუცდია, რას ნიშნავს კონტროლი, რომელსაც ასე გულუხვად იმეტებენ ხოლმე თავიანთი დებისათვის.

პრობლემის სათავედ მე მამებთან ძმების კავშირი მგონია, რომელიც ბევრად მყარია, ვიდრე გოგონებისა – დედებთან. ოღონდ მამაკაცთა კავში-

რი, როგორც წესი, უთქმელად, ემოციების საშუალებით ხორციელდება. ძმები თვითონაც ვერ ამჩნევენ, ისე ხდებიან ხოლმე კონსერვატიული ღირებულებების მთავარი გამტარები და ეს მათი ბრალი სულაც არაა. მთავარ დამნაშავედ მე საზოგადოება მიმაჩნია, რომელიც ძმებს თავიანთ დებზე უზარმაზარ პასუხისმგებლობას აკისრებს. მათი დები „გზას არ უნდა აცდნენ“, მათი დები არავინ უნდა შეაწუხოს, მათი დები არავის უნდა ეგონოს უპატრონო.. და ასე დაუსრულებლად. გგონიათ, ეს ამბავი თვითონ ძმებს ახარებთ? მე ვფიქრობ, არა. პასუხისმგებლობაც, ისევე როგორც კონტროლი, დიდად სასიამოვნო რამ არაა.

ისე გამოდის, რომ ქართველ ბიჭებს ერთი კი არა, ორი ან სამი ცხოვრების დაგეგმვა უწევთ (გააჩნია დების რაოდენობას), არადა, ამ ყველაფერთან ერთად მათ სხვა ამოცანებსაც უსახავს ცხოვრება: უნდა აჯობონ თავიანთ „ვერშემდგარ“ მამებს, იზრუნონ საკუთარ ბინაზე და იპოვონ მაღალანაზღაურებადი სამუშაო. მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად არ გამოუვათ, თუ მინი-მამებად დარჩებიან და დების პატიოსნებაზე ფიქრს გადაჰყვებიან. გოგონები ხომ, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, საკმარისად ბევრ შეცდომას უშვებენ იმისათვის, რომ ძმებმა საკუთარი ცხოვრების აწყობაც მოასწრონ.

ამასობაში კი, მე ძმასთან ურთიერთობის ახალი სტრატეგია შევიმუშავე, ვცდილობ, ნაკლებად შევანუხო, რომ რაც შეიძლება მეტი პირადი სივრცე მქონდეს. და რადგან მის დახმარებაზე ასე მკაცრად ვაცხადებ უარს, ასე 2 წლის წინ ვინდოუსის გადაყენება ვისწავლე და ახლა კი იმავე ვინდოუსის ჩაწერას ვსწავლობ „ფლეშკაზე“. □



ფოტო: ლეანა ხარაიულიძე

ჰაილანდებმა "თავისუფლების ქახიჩა" ჰიჩვიდი მოსაენით დაახიისა

ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძის მიერ ინიცირებული „თავისუფლების ქარტია“ პარლამენტმა პირველი მოსმენით 75 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

საკანონმდებლო ინიციატივა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო საზღვრების, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და ტვირთების მკაცრ მონიტორინგს, ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო გადარიცხვების კონტროლს ითვალისწინებს. „თავისუფლების ქარტია“ ე.წ. პატრიოტის აქტთან და ლუსტრაციის დებულებებთან ერთად საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის აკრძალვასაც ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, პრეზიდენტი ქმნის სახელმწიფო კომისიას, რომელიც ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების რეგისტრაციას და მათ ნებაყოფლობით აღრიცხვას აწარმოებს. ინიციატივა ასევე ითვალისწინებს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლენინური კომიტეტების ყოფილ წარმო-

მადგენლებზე თანამდებობრივი შეზღუდვების დაწესებას.

იგივე კომისია აგროვებს ინფორმაციას კომუნისტური თუ ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ქუჩების სახელწოდებების თუ სხვა იდეოლოგიის და პროპაგანდის მატარებელი საშუალებების შესახებ და მათი აღმოფხვრის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს.

თორთლაძის თქმით, ამ კანონპროექტის დაბლოკვა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებს და ყოფილ აგენტებს აწყობთ. დეპუტატის თქმით, ბევრი ცდილობს ისეთი სურათი დახატოს, თითქოს კანონპროექტი ვეტერანების შეურაცხყოფას ისახავს მიზნად და თითქოს საბჭოთა ფილმების აკრძალვა იგეგმება. „ამ ინფორმაციებს ის ადამიანები ავრცელებენ, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებს დღემდე ემსახურებიან და არ აწყობთ ლუსტრაციის კანონის მიღება“, – განაცხადა თორთლაძემ.

თორთლაძემ კანონპროექტი პირველად 2009 წლის ნოემბერში წარადგინა.

ჩოიბაჩი:
20 სავაჩაეო
ახანსი დაახავეს

„ქართული პოლიცია რუსეთის აგენტობაში ეჭვმიტანილ 20 ადამიანს აკავებს“ – ამ სათაურით ინფორმაცია პირველად სააგენტო როიტერის ვებგვერდზე გაჩნდა. ანონიმური წყარო იტყობინება, რომ ოცივე დაკავებული საქართველოს მოქალაქეა და ისინი რუსეთისთვის საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებითა და გადაცემით იყვნენ დაკავებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს იკავებს. „ოფიციალური განცხადება 5 ნოემბერს, საგანგებო პრესკონფერენციაზე გაკეთდება“, – ამბობს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიანაშვილი როიტერთან საუბარში.

თუ ინფორმაცია დადასტურდა, აგენტურული ქსელის დაკავება რუსეთ-საქართველოს ისედაც დაძაბულ ურთიერთობას მნიშვნელოვნად გაართულებს. ორი წლის წინ, საქართველოს მიერ ოთხი რუსი აგენტის დაკავება რუსულმა მხარემ შეაფასა, როგორც „ღამაშფოთებელი ავანტიურა“ და საქართველოს ხელისუფლების ანტირუსული პოლიტიკა.

ჩისხვები

32% უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილის გაპრემიერებას.

91% ენდობა ეკლესიას.

მოსკოვის ახალი მხის საჩუქარი სინდრალს

მოსკოვის ახალი მერი – სერგეი სობიანინი – „სამხრეთ ოსეთელე-ბისთვის მოსკოვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის“ კანონპროექტით მოსკოვის საქალაქო სათათბიროს მიმართავს. სობიანინის ახალი ინიციატივის შესახებ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ.

„ინტერფაქსის“ მიხედვით, საუბარია ქალაქ ცხინვალში, მიკრორაიონ „მასკოვსკის“ ობიექტებზე, რომლებიც რუსეთის დედაქალაქის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ააშენა. მიკრორაიონში რვა საცხოვრებელი კორპუსი და 189 ბინაა, თითოეულის ფართობი 200 კვადრატულ მეტრს შეადგენს. კანონპროექტის თანახმად, მოსკოვი ცხინვალს ასევე გადასცემს სკოლას, ორ საბავშვო ბაღს, საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრსა და გამაჯანსაღებელ კომპლექსს. სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 2,5 მილიარდი რუბლით შეფასდა.



ქართველები ნახოსიხის ბაღსანისთვის დაახვეწა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მალაიზიაში საქართველოს ორი მოქალაქის დაკავების ფაქტს ადასტურებს.

საქართველოს მოქალაქეები მალაიზიაში დიდი ოდენობით ნარკოტიკის გადატანისთვის დააკავეს. მალაიზიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ორივე მათგანს „მეტამფიტამინი“ სურათის ჩარჩოებში ჰქონდა დამალული.

მალაიზიის კანონმდებლობა ამ დანაშაულისთვის სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.

„დაკავებულები აცხადებენ, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. უბრალოდ მათ შეხვდათ პიროვნება, რომელმაც სთხოვა ბარგის ჩატანა მალაიზიაში. თუ დადასტურდა, რომ ისინი იყვნენ მხოლოდ გადაზიდვები, მაშინ სასჯელის უმაღლესი ზომა არ შეეხებათ. მთავარია, რომ არ დადასტურდეს შეგნებულად ნარკოტიკული ნივთიერების გადაზიდვის ფაქტი“, – განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი ტაბატაძემ.

დაკავებულების სასამართლო პროცესი 3 ან 4 ნოემბერს გაიმართება.

სიტუაბი



„პოლიცია არა ძალოვანი სტრუქტურა, არამედ სერვისია, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ემსახურება“.

ვანო მერაბიშვილი უკრაინულ ტელეკომპანია „ინტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში

„მე ვისურვებდი, ის მთელი ცხოვრება პრეზიდენტი იყოს. მე ის ძალიან მიყვარს, როგორც მამაკაცს მამაკაცი... სანამ პუტინი მხარს მიჭერს, ყველაფრის კეთებას შევძლებ“.

კადროვი პუტინზე ჟურნალ „ნიუსვიკთან“

„რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მასთან საუბრის დანყება აუცილებელია“.

მიხეილ სააკაშვილი ფრანკოფონიის სამიტზე, 25 ოქტომბერი 2010

„მოსახლეობაში შიშია გამჟღადარი და IRI-ს კვლევის შედეგები გულწრფელი ვერ იქნება“

ირაკლი ალასანია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევაზე

84% უჭერს მხარს რუსეთთან დიალოგის დანყებას.

69% უჭერს მხარს განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს.

საქართველოს მოსახლეობის კვლევა, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) 2010 წელი



საჯარო

დავით ზურაბიშვილი

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი
„ფეისბუქის“ მომხმარებელი 2009 წლიდან

კამათი იმის თაობაზე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქ-ში“ გამოქვეყნებული ტექსტი საჯარო ინფორმაციაა თუ პრივატული, ერთი ძველი საბჭოთა გადაცემის სათაურს მაგონებს: აშკარა – დაუჯერებელი. აქ მართლა იმდენად აშკარაა ყველაფერი, რომ საერთოდ არ მესმის, რა შეიძლება იყოს საკამათო.

„ფეისბუქი“ სხვა ღირსებებთან ერთად იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ქსელი, პრაქტიკულად, სრულფასოვანი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. შეგიძლია ისე გააკეთო, რომ რასაც დანერ, მხოლოდ შენ მიერ ამორჩეულმა პირებმა ნახონ, ან პირიქით, ვისაც არ ეზარება, ყველამ დაათვალიეროს.

პირადად მე, მაგალითად, სრულიად გახსნილი მაქვს ჩემი ე. წ. კედელი, ანუ ყველას შეუძლია ყველაფრის ნახვა. ცხადია, იმასაც ვაცნობიერებ, რომ ჩემი ნებისმიერი სიტყვა შეიძლება, გამოყენებულ იქნას ჩემ წინააღმდეგ – იქნება ეს ტენდენციურად მომართული მედია-საშუალება თუ რომელიმე არაკეთილმოსურნე ჟურნალისტი – მაგრამ ეს ჩემი არჩევანია და ჩემი პასუხისმგებლობა. ვისაც კონფიდენციალობის დაცვა სურს, დაანკაპუნოს მათი ოპციებზე და ისევე უქნია, სულ მარტო დარჩენილა. ამის საშუალებაც არის.

თუმცა, ასეთმა განდევილმა ისიც უნდა უწყოდეს, რომ როგორც კი სხვის კედელზე მოისურვებს კომენტარის დაწერას, მისი პრივატული სივრცეც იქ დამთავრდება.

მოკლედ, ფეისბუქი, როგორც ასეთი, ტიპური საჯარო სივრცეა, სადაც პრივატულობის კუთხე-კუნჭულების მოწყობაცაა შესაძლებელი.

საჯარო სივრცეში ნათქვამს ვინ როგორ კუდს გამოაბამს, ეგ სხვა ამბავია. ამისგან დაზღვეული არავინაა და პოლიტიკოსებისა და საჯარო პირებისთვის ეს მათი ცხოვრების თანამდევია რისკია. აბა, როგორ გინდა? თან ხალხი გიცნობდეს, შენი პერსონა აინტერესებდეს და კიდევ იმაზე გქონდეს პრეტენზია – რა თქვენი საქმეა, მე სად რას ვიტყვი? ეგრე არ გამოვა.

ყველაზე ცუდი, რაც კი ამ დროს შეიძლება მოიფიქრო, ესაა რაიმე საკანონმდებლო აქტით ამის დარეგულირების მცდელობა. ჩვენს რეალობას რომც შევეშვათ (არადა, როგორ გინდა შეეშვა, როცა თვითონ არ გეშვება?), სადაც ასეთი მცდელობა აუცილებლად უშეშროების სამსახურის მიერ ინტერნეტის გაკონტროლებამდე დავა, რანაირად გინდა გაარკვიო, რა ითვლება პრივატულად და რა – არა? ეს დაახლოებით იგივეა, რომ დაიწყოთ კამათი იმაზე, კანონით უნდა დარეგულირდეს თუ არა რესტორანში სუფრაზე ნათქვამი. ■



ფეისბუქზე ბამოქვეყნებული საჯარო სივრცე

■ **ფეისბუქი, როგორც ასეთი, ტიპური საჯარო სივრცეა, სადაც პრივატულობის კუთხე-კუნჭულების მოწყობაცაა შესაძლებელი.** თუმცა, განდევილმა უნდა უწყოდეს, რომ როგორც კი სხვის კედელზე მოისურვებს კომენტარის დაწერას, მისი პრივატული სივრცეც იქ დამთავრდება.



ნაზალი ინფორმაცია უ პიხალი?



პირადი
მარინა იმერლიძე
„ფეისბუქის“ მომხმარებელი 2009 წლიდან

ფეისბუქში, საკუთარ ან მეგობრის კედელზე კომენტარის დატოვებისას, გიფიქრიათ თუ არა, რომ შესაძლოა, ეს კომენტარი რომელიმე გაზეთში თქვენს გვართან ერთად იხილოთ? მსგავსი მოულოდნელობა მე არ მესიამოვნებოდა. არაეთიკური იმ ჟურნალისტის საქციელი, რომელიც ჩემს მოსაზრებას შეთანხმების გარეშე გამოაქვეყნებდა. ნებისმიერი ინფორმაცია ჟურნალისტებმა აუდიტორიასთან მიტანამდე, მინიმუმ ავტორთან უნდა შეთანხმონ და კონტექსტი გადაამოწონ.

არგუმენტი „ფეისბუქის“ საჯაროობის შესახებ არა მგონია, ყველა შემთხვევაში გამართლებული იყოს. „ფეისბუქის“ ხიბლი მართლაც ინფორმაციის გავრცელება-გაზიარებაშია, თქვენ ირჩევთ მეგობრებს, იმატებთ სიამოვნებას და შემდგომში ნებისმიერი მასალის დაპოსტვის დროს ელით გამოხმაურებას... ან არ ელით. ყოველ შემთხვევაში, თქვენ გყავთ ადამიანების ჯგუფი, რომელთათვის რაიმეს (ინფორმაცია, ფოტო, მუსიკა, კომენტარი, მოსაზრება) გაზიარების სურვილი გაქვთ.

„ფეისბუქის“ საზოგადოება ჩემთვის იყოფა რამდენიმე კატეგორიად:

კატეგორია პირველი: ადამიანები, რომელთათვის ინფორმაციის გაზიარებასთან ერთად, „ფეისბუქი“ სივრცეა, სადაც ერთმანეთს გაუზიარებენ განწყობებს, დამოკიდებულებებს. ეს კატეგორია მეგობრებს ირჩევს ნაცნობობის ან პირადი სიმპათიის ნიშნით. თამაშის წესები ცნობილია – ამ ადამიანთა ფეისბუქური ცხოვრება ერთდროულად პირადიცაა და საჯაროც, თუმცა საჯაროობის საზღვრები დადგენილია. ამ კატეგორიის მომხმარებლის დაუკითხავად ინფორმაციის ექსპორტი ჩემთვის მიუღებელია. ეს მათ მიერ დადგენილ პირად სივრცეში შეჭრაა.

მეორე კატეგორიაში შედიან ე.წ. საჯარო პირები, ცნობადი სახეები.

მესამე კატეგორია კი ე.წ. „უსულო“ გვერდებს მოიცავს (კომპანიების, ცნობადი პირების ფან-გვერდები) .

მეორე და მესამე კატეგორიის „კედლებზე“ საჯაროობის ზღვარი არ არსებობს, აქ მეგობრებად ყველა მსურველს იმატებენ. მასალაც ყველაზე გათვლილი. მათი მფლობელებისთვის „ფეისბუქი“ ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის კიდევ ერთი არხია.

თუ ადამიანი პირველიდან მეორე კატეგორიაში ინაცვლებს, საკუთარი კედლის, საჯარო სივრცის თამაშის წესებზე მორგება მოუწევს. მე არ მყავს მეგობრებში ვერა ქობალია, მაგრამ, ეჭვი მაქვს, ყბადაღებული სურათები მას მინისტრად დანიშვნის შემდეგ არ აუტვირთავს. ალბათ, ისევე როგორც სხვა „ჩვეულებრივ მოკვდავთ“, სტუდენტობის დროინდელი ბევრი ფოტო ექნებოდა ატვირთული კედელზე. უბრალოდ არ უფიქრია, რომ სტუდენტის სახალისო ფოტო მინისტრისთვის შესაძლოა, კომპრომატად იქცეს.

მეორე და მესამე კატეგორიის საჯაროობის მიუხედავად, ჟურნალისტისთვის პროფესიული ეთიკის საკითხია, მათი კედლიდან მასალის გამოქვეყნებამდე ავტორებთან შეთანხმება, თუნდაც არასწორი ინტერპრეტაციის გამოსარიცხად.

- **ადამიანთა ფეისბუქური ცხოვრება ერთდროულად პირადიცაა და საჯაროც, თუმცა საჯაროობის საზღვრები დადგენილია.**
- **მომხმარებლის დაუკითხავად ინფორმაციის ექსპორტი ჩემთვის მიუღებელია. ეს მათ მიერ დადგენილ პირად სივრცეში შეჭრაა.**



ოფორული ზონა

ოფორი ახ ახის შოხს

ცოტა რამ გადასახადებისა
და უჩინმაჩინების სამოთხის შესახებ.

თამარ ბაბუაძე

რესტორნის დიდი ფანჯრიდან ჰორიზონტზე გაჭიმული კარიბის ლურჯი ზღვა და ნაპირთან შორიასლოს მიმოფანტული თეთრი იახტები ჩანს. ანტილიის კუნძულების მთავარი ქალაქის ამ მდიდრულ რესტორანში, ბანკ Credit Lyonnais-ის ოფიცერი ამერიკელ კლიენტს ესაუბრება. კლიენტს სურს, ექვსნიშნა თანხა „მშვიდად“ შეიტანოს აშშ-ში. მას ფრანგული ბანკის დახმარება სჭირდება.

მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი რესპექტაბელური ბანკის იმიჯი არ შელახოს, ოფიცერი კლიენტს ეკითხება – იმედია, ეს ფული „ჭუჭყიანი“ არ არის, ასეა? კლიენტი არწმუნებს, რომ თანხა აბსოლუტურად სუფთაა. ბანკირი ოფიციალტს კიდევ ერთი ტონიკის მოტანას სთხოვს და კლიენტს უღიმის – თუ ასეა, შეგვიძლია „ჰოლანდიური სენდვიჩი“ შევუკვეთოთ.

„ჰოლანდიური სენდვიჩი“ არა სა-

რესტორნო მენიუს, არამედ საბანკო მაქინაციების აბსოლუტურად ლეგალური ნაწილია, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ კომპანიას და ბიზნესმენს შეუძლია, კვალი აურიოს საგადასახადო ინსპექციას და ბიზნესი ისე აკეთოს, რომ საქმიდან სუფთა მოგება დარჩეს.

მთავარ როლს ამ პროცესში ოფორულ ზონაში დარეგისტრირებული ე.წ. ნომინალური კომპანია ასრულებს. ის მხოლოდ ფასადია, მისი სახელით კი უჩინრად მოქმედებს ბიზნესის ნამდვილი მფლობელი.

ეს თითქმის სტანდარტული ფინანსური სქემა, გადასახადების თავიდან არიდების მიზნით, გამოუყენებიათ ისეთ მსხვილ და რესპექტაბელურ კომპანიებს, როგორცაა Google და Microsoft.

„ოფორი უჩინმაჩინების სამოთხეა,“ – აღნიშნავს მცირე და საშუალო სა-

წარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი ისაკაძე.

თბილისის ერთ-ერთი იურიდიული ფირმის იურისტი ამბობს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მოთხოვნა ოფორული ზონიდან ბიზნესის მართვაზე საქართველოშიც გაიზარდა. ბოლო დროს, მისმა ფირმამ ათობით ასეთი კომპანია დაარეგისტრირა.

უჩინმაჩინის ქუდით მოქმედი კომპანიების ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევა 2007 წლის ნოემბერში გაყიდული „თბილისის წყალია“. სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, კომპანია, რომელიც თბილისელებს სასმელი წყლით ამარაგებს, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ „მაღტიმლეს ენერჯი ლიმიტიდს“ პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მიჰყიდეს.

განკარგულებას ხელი სააკაშვილმა 25 ნოემბერს, პოსტიდან გადადგომამდე ორი დღით ადრე მოაწერა. უცნობ კომპანიას, რომელსაც საქართველოში წარმომადგენლობა არ გააჩნია, შეღავათიან ფასში ასევე გადაეცა „რუსთავენკალკანალი“, „საქწყალკანალი“ და „მცხეთაწყალკანალიც“.

მეორე გახმაურებული მაგალითი „საქართველოს ლატარიის კომპანიაა“. ეს კომპანია, რომელსაც ლატარიის ბიზნესის ერთპიროვნული მართვის უფლება მიეცა, ტენდერში გამარჯვებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნა. მისი ასპროცენტური წილის მფლობელი შპს „ლექსორ კაპიტალ კორპი“. „ლექსორ კაპიტალ კორპის“ მისამართის ძიებას კი პუერტო რიკოდან აღმოსავლეთით, კარიბის ზღვაში, ბრიტანული ვირჯინიის კუნძულებზე მივყავართ.

კვალი აქ წყდება. ამაზე მეტის გაგება იმ კომპანიის შესახებ, რომელიც 10 წლის განმავლობაში, საქართველოში ლატარიის მონოპოლისტურ ბაზარზე 4.2 მილიარდი დოლარის ამოღებას გეგმავს, შეუძლებელია.

ორივე კომპანიის კონკურენტები მიიჩნევენ, რომ ოფშორში დარეგისტრირებული ამ ფირმების ნამდვილი მფლობელები ხელისუფლების გავლენიანი წევრები და მათი მეგობრები არიან. მთავარი არგუმენტი ისაა, რომ როგორც წესი, გასაიდუმლოებული წარმომადგენლობის ამ კომპანიებს მთავრობის მხრიდან უპრეცედენტო სასათბურე პირობები ექმნებათ. „თბილისის წყალს“ შეუმცირდა ტენდერში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებები, „ლატარიის კომპანიის“ მონოპოლიური სტატუსი კი

საკანონმდებლო ბაზით გამყარდა.

კონფიდენციალობის სრული დაცვა და გადასახადებისგან გათავისუფლება ის ორი ძირითადი მიზეზია, რის გამოც ბიზნესმენები კომპანიების დასაარსებლად კამკამა ოკეანის წყლით, ტროპიკული კლიმატითა და ეგზოტიკური ბუნებით განთქმულ კუნძულებს ირჩევენ.

გადასახადების თავიდან არიდებას ადამიანები იმ მომენტიდან ცდილობენ, რაც გადასახადები დაუწესეს. ბედნიერებას, რასაც ბიზნესმენებს ოფშორული ფინანსური ცენტრები ანიჭებთ, ყველაზე უკეთ ეს ტერმინი გამოხატავს – „საგადასახადო სამოთხე“. ოფშორი სწორედ საგადასახადო სამოთხის ნაირსახეობაა.

ინგლისური სიტყვა – Offshore – მატერიკისგან მოშორებულ, ოკეანეში ჩაკარგულ ადგილს აღნიშნავს. თუმცა ბოლო 20 წელია, ერთი დამატებითი მნიშვნელობაც აქვს. ოფშორი, ძირითადად, მცირე საგადასახადო ტარიფების მქონე „ქვეყანაა“, სადაც დღე ისე არ გავა, რომ მინიმუმ 100 მილიონ დოლარიანი საბანკო ტრანზაქცია არ განხორციელდეს.

ამიტომ უკვე წლებია, კუნძულებზე – ვანუატუ, ნაურუ, ბელიზი, ბერმუდა, ვირჯინიის კუნძულები და სეიშელი, ადამიანებმა ქოქოსის მოყვანასა და თინუსის დაჭერას თავი დაანებეს და მძიმე საგადასახადო წნეხით შეწუხებულ ბიზნესმენებს „საგადასახადო სამოთხე“ შეუქმნეს.

ოფშორული ფინანსური ცენტრი – ეს ბიზნესის წარმოების ყველაზე გაიოლებული თანამედროვე ფორმაა და აბსოლუტურად ლეგალურიც. მისი დამცველები ამბობენ, რომ ოფშორული ზონების არსებობა ფულის მიმოქცევის, ბიზნესის თავისუფლებისთვის აუცილებელი პირობაცაა. თუმცა სწორედ ამ უპრეცედენტო თავისუფლებას ხშირად ბიზნესმენები არცთუ ლეგალური საქმიანობისთვის იყენებენ, მათ შორისაა, ფულის გათეთრება, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი.

ოფშორული თავისუფლება საქართველოში ყველაზე მეტად სატელევი-

ოფშორული ფინანსური ცენტრების ხიზნისა

ოფშორულ ფინანსურ ცენტრებს ხშირად ფინანსურ პარაზიტებს უწოდებენ, რომლებიც „ნამდვილი“ ეკონომიკებიდან გადმოსროლილი გადასახადებითა და სხვა შემოსავლებით ცხოვრობენ და სამოთხის პირობებს სთავაზობენ ფულის გათეთრებლებსა და კრიმინალებს.

მსგავსი პრაქტიკა ზოგიერთ ოფშორულ ცენტრში დღემდე გრძელდება. თუმცა ვერავინ დებს თავს იმაზე, რომ ასეთი მსხვილმასშტაბიანი ფინანსური მაქინაციები დიდი სახელმწიფოების ეკონომიკაშიც არ ხდება.

საერთაშორისო ბიზნესის წარმომადგენლების თქმით, ოფშორული ზონები ასრულებენ ლეგიტიმურ როლს საგადასახადო ტარიფების შემცირებაში. უმონწყალოდ კონკურენტულ საერთაშორისო ეკონომიკაში კი გადასახადების შემცირება კონკურენტისგან გამომდინარე საჭიროებაა, ოფშორული ფინანსური ცენტრების არსებობა კი ამ პრობლემას წყვეტს.

გლობალიზაციამ ოფშორული სისტემის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობ ხელი. მულტინაციონალური კომპანიებისთვის განსაკუთრებით მოსახერხებელია საკუთარი აქტივები და შემოსავლები

საზღვრებს მიღმა, ოფშორულ ზონებში გადაიტანონ. 2007 წლის მონაცემებით, ოფშორული თანხები 5-7 ტრილიონამდე დოლარს აღწევდა.

თუმცა, მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა ოფშორული ზონების რეგულაცია მინც დაიწყეს. დიდი ოციანის ქვეყნების ლიდერებმა 2009 წელს გადაწყვიტეს, ემოქმედათ ოფშორული ცენტრების გასაკონტროლებლად. მათ სურდათ, თანამშრომლობაზე წამოეყვანათ ამ ქვეყნების მთავრობები გადასახადების დამალვის ფაქტების გამოსავლენად.

ამ პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდიც ჩაერთო. ოფშორულ ზონებში ფულის გათეთრებისა და სხვა მავნე საქმიანობის აღსაკვეთად რეგულაციები ამუშავდა. რამდენიმე ქვეყანა განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა. თუ ოციოდ წლის წინ, ისინი ასრულებდნენ მხოლოდ სალაროს როლს დიდი კომპანიებისთვის, მილიონერებისა და კრიმინალებისთვის, დღეს სხვა რეალობაა. მაგალითად, ბერმუდა უფრო კომპლექსურ, ეფექტურად მართულ ცენტრად იქცა, რომელიც თუნდაც დაზღვევის სფეროში მაღალი კლასის მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს.

ზიო ბაზარზე გახდა საგრძნობი. 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ცენტრალური ტელეარხების მფლობელებმა, ერთი მეორის მიყოლებით, დაიწყეს საკუთარი წილების გაყიდვა-გადაფორმება. ახალი მფლობელი თითქმის ყველა შემთხვევაში უცნობი რჩებოდა.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ბოლო რეალური მფლობელი მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მეგობარი, ქიბარ ხალვაში იყო. ირაკლი ოქრუაშვილის დაჭერისთანავე მის პროტექსს, როგორც თავად ამბობს, ტელეკომპანია ჩამოართვეს. 2007 წლიდან „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტის რეალური მფლობელის ვინაობა გასაიდუმლოებულია.

2007 წელს საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიაში შეტა-

ნილი დოკუმენტების წყალობით, მხოლოდ ნახევარი სიმართლის „გახსნა“ მოხერხდა. გაირკვა, რომ 45 პროცენტთან წილს „რუსთავი-2“-სა და „მზეში“ „ჯორჯიან ინდუსტრიალ გრუპი“ (GIG) ფლობდა, რომლის დამფუძნებელიც იმდროინდელი პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი იყო. დარჩენილი წილი კი ეკუთვნოდა „ჯეომედია გრუპს“, რომელიც ავსტრალიასა და შავაის შორის მდებარე მარშალის არქიპელაგურ კუნძულებზე იყო დარეგისტრირებული.

სწორედ ოფშორული მისამართის გამო, ინტერნეტ-საძიებო სისტემაში „ჯეომედია გრუპი“ არ იძებნება. არსებობს სან ანტონიოში დარეგისტრირებული „ჯეომედია“, რომელიც სამგანზომილებიან ანიმაციას აკეთებს, არსებობს კანადური კომპანია, რო-

■ ინგლისური სიტყვა – **Offshore** – მატერიკისგან მოშორებულ, ოკეანეში ჩაკარგულ ადგილს აღნიშნავს. თუმცა ბოლო 20 წელია, ერთი დამატებითი მნიშვნელობაც აქვს. ოფშორი, ძირითადად, მცირე საგადასახადო ტარიფების მქონე „ქვეყანაა“, სადაც დღე ისე არ გავა, რომ მინიმუმ 100 მილიონ დოლარიანი საბანკო ტრანზაქცია არ განხორციელდეს.

ბიზნესთან ვიზიტის ხანძრები - "ბადასახეების საშოთხე"



ვართობი:
151 კვადრატული კილომეტრი

მოსახლეობა:
24,491

მთლიანი შიდა პროდუქტი:
1.095 მილიარდი დოლარი

ვირჯინიის კუნძულები ოფშორული კომპანიების 41%-ის სამშობლო და მსოფლიოში ყველაზე დიდი ოფშორული იურისდიქციაა. აქამდე ის სერიოზულ სკანდალში არასოდეს გახვეულა – მიუხედავად იმისა, რომ ვირჯინიის კუნძულები, ამერიკის ცენტრალური საგამოძიებო

ბიუროს მონაცემებით, სამხრეთ ამერიკიდან ამერიკასა და ევროპაში გასაგზავნი ნარკოტიკის გადაზიდვების ცენტრია.

1980-იანი წლებიდან ვირჯინიის კუნძულების მთავრობამ უცხოურ კომპანიებს კუნძულებზე რეგისტრაციის საშუალება მისცა. ამით დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონია ფულის გათეთრებისთვის მოსახერხებელ ადგილად იქცა. ახლა ამ რეგისტრაციებიდან შემოსული თანხა, ტურიზმთან ერთად, ბიუჯეტის სოლიდური ნაწილია. 2000 წლისთვის იქ დაახლოებით 400 ათასი კომპანია იყო დარეგისტრირებული.

1994 წელს გამოიცა კანონი, რომელმაც კომპანიებს კონფიდენციალობის სრული დაცვის გარანტია მისცა. ამ კანონის ძალით, თითქმის შეუძლებელი გახდა ბრიტანული ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანიების საქმეების გამოძიება, რის გამოც ის კიდევ უფრო მიმზიდველი დანიშნულების პუნქტი გახდა უცხოელი ბიზნესმენებისთვის.

ამიტომაც, ვირჯინიის კუნძულების ეკონომიკა კარიბის ზღვის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და განვითარებულია.

მელიც რთულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობს, მაგრამ არ არსებობს „ჯეომედია“, რომელიც 2008 წლამდე „რუსთავი-2“-ის მფლობელი იყო.

2007 წელს, მფლობელების შესახებ დოკუმენტაციის გამოქვეყნებისას, ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ, გიორგი

არველაძემ აღნიშნა, რომ კომპანიებს მოეთხოვებათ მფლობელობის შესახებ ინფორმაციის გაცემა, მაგრამ დეტალების დადგენა კომისიის კომპეტენციას სცდება.

თუმცა, კომისიას მსგავსი ინფორმაციის გაცემა „რუსთავი-2“-ისგან რომც მოეთხოვა, ვერაფერს მიაღწევდა. „ჯეომედია გრუპსაც“ და ამ ტე-

ლეკომპანიის ახლანდელ მფლობელს, ბრიტანული ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია „დეგსონ ლიმიტიდსაც“ ოფშორული კანონმდებლობა იცავს.

გიორგი ისაკაძე აღნიშნავს, რომ ქართული კომპანიები ოფშორულ ზონას მიმე საგადასახადო წნეხის გამო, წესით, არ უნდა მიმართავდნენ, რადგან გადასახადები საქართველოში არცთუ ისე მაღალია. ამიტომ ის ვარაუდობს: „საქართველოს შემთხვევაში ოფშორში წასვლის მიზეზი შეიძლება ბიზნესში მონაწილეობის დაფარვის მცდელობა იყოს. ისედაც ცნობილია, რომ ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიების მფლობელების დიდი ნაწილი ცდილობს, ამა თუ იმ ბიზნესში თანამონაწილეობა დაფაროს. ამის მიზეზი ზოგჯერ ის პრობლემებია, რაც საკუთარ ან რომელიმე უცხო ქვეყნის მთავრობასთან ექმნებათ, ან უბრალოდ – ანონიმურობის შენარჩუნების სურვილი“.

სავარაუდოა, რომ იგივე სურვილი ამოძრავებს კიდევ ერთი ქართული ტელეკომპანიის, „საქართველოს“ რეალურ მფლობელს. „საქართველო“ სრულიად ღიად და ოფიციალურად თანამშრომლობს თავდაცვის სამინისტროსთან და მისი ეთერის უდიდეს დროს სწორედ თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით დამზადებული სამხედრო თემატიკის პროგრამები ავსებს. თუმცა, ოფიციალურ დოკუმენტაციაში ამ ტელეკომპანიის მფლობელად კომპანია Denal Union-ი სახელდება. Denal Union-ის შესახებ ინფორმაცია არც საქართველოს სამენარჩევო რეესტრში იძებნება (სადაც ინახება ინფორმაცია ყველა იმ წვრილ თუ მსხვილ ფირმაზე, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული) და არც Google-ის საძიებო სისტემაში. Denal Union-ის ნაცვლად ჩოოგლეი Dental Union-ის საქმიანობის გაცნობას გვთავაზობს.

„გამჭვირვალობის პრობლემა თავს იჩენს სწორედ მაშინ, როცა აღმოჩნდება, რომ მფლობელი ოფშორული კომპანიაა. ამის მიზეზი კი ის გა-

UGLAND HOUSE



უგლანდ ჰაუზი, კაიმანის კუნძულების დედაქალაქში, გრანდ კაიმენში მდებარე ჩვეულებრივი ხუთსართულიანი სახლია. ოღონდ ყველა სხვა ხუთსართულიანი სახლისგან განსხვავებით, ის, ალბათ, ერთადერთია, რომელზეც ვიკიპედია ვრცელ ინფორმაციას აქვეყნებს და ასევე ერთადერთია, რომლის შესახებაც მსუყე შინაარსით დატვირთული ვებგვერდი მუშაობს.

საქმე ისაა, რომ ამ პატარა სახლის მისამართზე 19 ათასამდე უცხოური კომპანიაა დარეგისტრირებული. ისინი საკუთარ ფინანსურ საქმიანობას ამ სახლის გავლით აწარმოებენ და სხვადასხვაგვარ შეღავათებს იღებენ – ან გადასახადებს მაღავენ, ანდა უბრალოდ - არ ჩნდებიან ბიზნესში, რომელიც რეალურად მათ ეკუთვნით.

კაიმანის კანონმდებლობა საუკე-

თესოა საერთაშორისო საინვესტიციო ფონდების, გლობალური ბიზნესების და მულტინაციონალური კომპანიების შესაქმნელად. Uglan House-ის მსგავსი სარეგისტრაციო ოფისებს კი მხოლოდ ვინრო ფუნქცია აქვთ, ისინი კომპანიებისთვის ლეგალური წარმომადგენლობების როლს ასრულებენ.

უგლანდ ჰაუზის ვებგვერდის მიხედვით, კაიმანის კუნძულები კლიენტებს ნეიტრალურ გადასახადებს სთავაზობს, რაც საერთაშორისო ბიზნესებისთვის დამატებითი გადასახადების გაუქმებას გულისხმობს.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი საარჩევნო კამპანიის დროს უგლანდ ჰაუზი ასე დაახასიათა: ეს არის „ან მსოფლიოს უდიდესი შენობა, ანდა მსოფლიოში უდიდესი საგადასახადო აფიორების ადგილი“.

ჩოხოხი ლაქაჩიხისხიხოთი ფიხბა ოფშოხიში

ოფშოხულ ზონაში საშუამავლო ფირ-
მასთან კონტაქტის დამყარება ინტერნეტით
შეიძლება. თუკი რომელიმე ინტერნეტ-
საძიებო სისტემაში ჩანერთ, მაგალითად,
ამგვარ ფრაზას: „ბერმუდა, ოფშოხი“, პირ-
ველი, რასაც ძიების შედეგად მიავნებთ სა-
რეკლამო ბანერებია: ”კომპანისი დაარსება,
საბანკო ანგარიშის გახსნა, საკრედიტო ბა-
რათის აღება – ეს ყველაფერი – ერთ სამუ-
შაო დღეში“. რაც მთავარია, ამ ერთი შეხედ-
ვით რთული ოპერაციების ჩასატარებლად
ბერმუდაზე ჩასვლა საჭირო არაა – ყველა-
ფერი ონლაინ რეჟიმში ხდება.

მეორე არჩევანი თბილისში, რომელიმე
იურიდიულ ფირმაში ვიზიტია. ამ ლეგალურ
მომსახურებას თითქმის ყველგან გაგინე-
ვენ. იურისტი დაგეხმარებათ, თქვენთვის
მოსახერხებელი ოფშოხული ფინანსური
ცენტრი აირჩიოთ. მოიფიქრებთ თქვენი
კომპანისი სახელს და შეარჩევთ კომპანისი
ნომინალურ დირექტორსაც, რომლის სა-
ხელზეც თქვენს მიერ რეგისტრირებული
ბიზნესი გაფორმდება. რადგანაც თქვენ მის-
გან მხოლოდ სახელს იყენებთ, ეს თქვენთვის
სრულიად უცნობი ადამიანი შეიძლება, კი-
დეც რამდენიმე სხვა ოფშოხული კომპანისი
ნომინალური დირექტორიც იყოს. თუმცა,
არც თქვენ და არც სხვების ბიზნესთან მას
რეალურად შეხება არ აქვს.

ამ მომსახურების საფასური კუნძული-
დან კუნძულამდე იცვლება, დაახლოებით
3000 ბრიტანული ფუნტის ფარგლებში. ასე-
თი კომპანისი „შენახვა“ – ანუ, ნომინალური
დირექტორის, ნომინალური დამფუძნებლის
და ნომინალური მისამართის ნლოური გადა-
სახადი დაახლოებით 1000 ბრიტანული ფუნ-
ტია. სამაგიეროდ, ოფშოხული კომპანისი
დარეგისტრირების შემდეგ, თქვენი სახელი
მთელი საქმიანი დოკუმენტაციიდან ქრება.
პასპორტის ნომერი, რომელიც იურიდიულ
ფირმაში კომპანისი დასაფუძნებლად და-
გჭირდათ, მხოლოდ ერთ ადგილას – ოფშო-
ხული ზონის ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში
საგულდაგულოდ ინახება. არც ერთ ჟურნა-
ლისტს, არასამთავრობო ორგანიზაციას და
საგამოძიებო ორგანოსაც კი ამ ინფორმა-
ციაზე ხელი არ მოუწვდება.

ბის უზრუნველსაყოფად სპეციალური
საკანონმდებლო ინიციატივა მოემზა-
დებინათ. კონსტიტუციონალისტ ვახ-
ტანგ ხმალაძესთან ერთად პროექტზე
იურისტი, მედიამკველვარი და ჟურნა-
ლისტები მუშაობდნენ. მათი საკანონმ-
დებლო ინიციატივა უკვე მზად არის.
დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი
სწორედ ოფშოხულ ზონებში დარე-
გისტრირებული მედიკომპანიების
მფლობელების გამოვლენას ეხება.

„საზოგადოებას აქვს უფლება, იცო-
დეს, რა წყაროებიდან მიღებული ფუ-
ლით ფინანსდებიან ნაციონალური
მაუწყებლები. ოფშოხულ კომპანიებში
კი, საერთოდ, შეუძლებელია ინფორ-
მაციის მოპოვება თანხის მოძრაობის
შესახებ. არავინაა დაზღვეული იმის-
გან, რომ ბიზნესში, რომელიც ოფშო-
ხული ზონიდან იმართება, ფული ნა-
რკობიზნესიდან ანდა ტრეფიკინგიდან
შედიოდეს“, – აცხადებს ხმალაძე.

მისი თქმით, პრობლემა ვერ გა-
დაიჭრება, თუ კანონში უბრალოდ
ჩაინერება, რომ გამჭვირვალე უნდა
გახდეს ოფშოხულ ზონაში რეგის-
ტრირებული მეწილის ვინაობა. ამ
შემთხვევაში, ერთადერთი პროგრე-
სი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ
გავიგოთ, ვინ არის თუნდაც „დეგსონ
ლიმითილის“ მმართველი. თუმცა, ის
ამ კომპანისი მხოლოდ ნომინალური
მესაკუთრეა, რომელიც სინამდვილეში
არაფერს წყვეტს. კომპანისი ნამდვილი
დამფუძნებელი, ოფშოხის კანონების
თანახმად, მკაცრად გასაიდუმლოებუ-
ლი რჩება. „ამიტომ ოფშოხი მედიაში
უბრალოდ უნდა აიკრძალოს, რადგან
ეს არის უზარმაზარი ხვერელი“.

ოფშოხული ზონების მკაცრად რეგუ-
ლირება უტოპიურად მიაჩნია კომუნი-
კაციების მარგეულირებელი ეროვნული
კომისიის სამართლებრივი დეპარტა-
მენტის უფროსს კახი ყურაშვილს. მისი
თქმით, ოფშოხული ზონების სრულად
აკრძალვა საფრთხეს უქმნის „თავისუ-
ფალი მეწარმეობისა და საკუთრების
კონსტიტუციური უფლებებით სარგე-
ბლობის“ შესაძლებლობას.

ხელისუფლება ასეთი მკაცრი რე-
გულაციის საკითხს არ განიხილავს.

ერთადერთი, რითაც ის რესპექტაბე-
ლური საერთაშორისო ინსტიტუტე-
ბის კრიტიკას პასუხობს, რამდენიმე
დღის წინ პარლამენტის თავმჯდომე-
რის მიერ გაცხადებული ინიციატივაა.
დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ მე-
დიის მფლობელთა გამჭვირვალობაზე
ზრუნვა აუცილებელია და მომდევნო
ორ კვირაში უკვე მზად იქნება გან-
სახილველად საკანონმდებლო ინიცია-
ტივა, რომლის საშუალებითაც მედიის
მფლობელთა ვინაობა სრულიად ღია
და ხელმისაწვდომი გახდება. „ეს იქ-
ნება კიდეც ერთი სერიოზული წინ
გადადგმული ნაბიჯი საქართველოში
მედია დამოუკიდებლობის გაუმჯობე-
ლებისკენ“, – თქვა ბაქრაძემ.

როგორც უკვე ცნობილია, რეგუ-
ლაცია მხოლოდ მედია კომპანიების
მფლობელებს შეეხებათ და არ გავრ-
ცელდება მთელ ბიზნეს სექტორზე.

მედია ბაზარზე არსებული გაუ-
მჭვირვალობა მრავალი პრობლემის
სათავეა. მოტივაცია კი, რაც ტელე-
ვიზიების მფლობელი კომპანიების
ოფშოხში დარეგისტრირებას იწვევს,
ბიზნესის ნებისმიერ სექტორში შეი-
ძლება არსებობდეს. ბრალდება, რომ
ნაციონალური ტელეარხები ოფშო-
ხულ კომპანიებს ამოფარებულ ჩინო-
ვნიკებს ეკუთვნით, მედიაბაზრის სა-
ზღვრებს სცდება. ხელისუფლებასთან
ასეთივე კავშირი იმ გარიგებებშიც
იკვეთება, სადაც ტენდერებს ერთი
თვით ადრე ოფშოხში დაფუძნებული
კომპანიები იგებენ.

პარლამენტის თავმჯდომარის ინი-
ციატივა, მედია მფლობელების გა-
მჭვირვალობა გაზარდოს, თავისთავად
დადებითი მოვლენაა, თუმცა, საეჭვოა,
ოფშოხში დარეგისტრირებული კომპა-
ნიების საქმიანობის რეგულირება ტენ-
დენციად იქცეს. თუ ხელისუფლება
მართლაც დგას ქართულ ბიზნესში შე-
მოსული ოფშოხული კომპანიების
უკან, მას სასიცოცხლოდ სჭირდება ის,
რასაც მას „საგადასახადო სამოთხე“
სთავაზობს – თავისუფლება და ანონი-
მურობის სრული გარანტია. □

სტატიაზე მუშაობდა ნანა საჯავია.

უკრაინის საგარეო პოლიტიკა

ვიქტორ იანუკოვიჩის დიპლომატიური ბიზნესი

უკრაინის ხელისუფლებას კონკრეტული გარიგებები აინტერესებს, თუნდაც ისინი უარყოფით გავლენას ახდენდნენ უკრაინის ნაციონალურ ინტერესებზე.

ვალონა გეტმანჩუკი, მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი



ვიქტორ იანუკოვიჩის „სტრატეგიული წონასწორობა“ მალე დაირღვევა, მან არჩევანი უკვე უნდა გააკეთოს

ფოტო Reuters

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ვიქტორ იანუკოვიჩი „კუჩმა-light“-ის ტიპის შიდა პოლიტიკას შემოგვთავაზებდა.

საუბარია უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმასდროინდელ „მრავალვექტორობის“ შემსუბუქებულ მოდელზე, როდესაც უკრაინის ოფიციალური პირები მოსკოვში იმას ამბობდნენ, რისი გავებაც კრემლს სურდა,

ბრიუსელში კი იმას, რაც ევროკავშირს ესიამოვნებოდა.

იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პირველი წლის შეფასებისას, მის მთავარ მიღწევად უფრო შეიძლება ჩაითვალოს არა ის, თუ რა გააკეთა მან, არამედ ის, რაც არ გააკეთა.

მაგალითად, კარგია, რომ მას დღის წესრიგიდან არ მოუხსნია უკრაინის

ევროინტეგრაციის საკითხი. არც საბაჟო კავშირსა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში განწევრიანებისკენ გადაუდგამს ნაბიჯები და გარკვევით განაცხადა, რომ არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას.

სხვა სიტყვებით, უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ რუს კოლეგასთან სმირი

შეხვედრებისა და მასთან უკრაინა-რუსეთის თანამშრომლობის აქტიური განხილვის მიუხედავად, იანუკოვიჩისთვის მოსკოვთან დიალოგის დროსაც არსებობს წითელი ხაზი, რომლის გადასაბიჯებლად იგი მზად არ არის.

უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები თავიდანვე განსაზღვრა. ესენია ევროკავშირი, რუსეთი და აშშ.

ევროკავშირს ამ სამეულში პირველობა ერგო. ვერაჟინ – ვერც უკრაინაში და ვერც ევროკავშირში – წარმოიდგინდა, რომ იანუკოვიჩისთვის ევროინტეგრაციის კურსის შეუქცევადობა ასეთი დაყინებული და მუდმივი ყურადღების საგანი გახდებოდა.

სიტუაციის პიკანტიურობა იმაში მდგომარეობს, რომ იანუკოვიჩის პრეზიდენ-

რის, სოლანამაც ეს პასუხი ასე აღიქვა: უკრაინელი პრეზიდენტისთვის ევროპული ინტეგრაცია ერთგვარი ავტომატური კურსია.

სავარაუდოდ, უკრაინელ პრეზიდენტს შემდეგი მოსაზრებები ამოძრავებს: ჯერ ერთი, მას გაცნობიერებული აქვს, რომ ევროკავშირში განწევრიანების კურსიდან გადახვევის შემთხვევაში ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უკვე დაკარგა ევროკავშირში განწევრიანების იმედი, იგი დღეს მაინც არ არის მზად, უარი თქვას „ევროპის კურსზე“, რომლის პოპულარიზაცია წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.

მუდმივად ხდება მოსახლეობისთვის იმის დემონსტრირება, რომ თუ იუშენკო

ვშირთან უვიზო რეჟიმის დაწესებამდე? თუმცა ახალი პრეზიდენტის გუნდი რუსეთთან დიპლომატიური ჰარმონიის მიზნითაც სერიოზულ ნაბიჯებს დგამს – დღის წესრიგიდან მოიხსნა ნატო-ში განწევრიანების სურვილი და რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტს ყირიმში მწვანე შუქი აენთო.

ეს ორი საკითხი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული როგორც უკრაინის, ასევე მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებასთან, მთავარი ისტორიული გამაღიზიანებელი იყო უკრაინა-რუსეთის ურთიერთობებში.

შავი ზღვის ფლოტის კონტრაქტის 25 წლით გაგრძელება უკრაინის ხელისუფლებამ რუსულ გაზზე ფასის 30 პროცენტით შემცირების აუცილებელი წინაპირობით ახსნა. ნატოში განწევრიანებაზე უარის თქმით კი რუსეთმა უკრაინისგან გარკვეული ბონუსი მიიღო.

უკრაინის ხელისუფლებას ამ პოლიტიკის გასატარებლად დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია. იანუკოვიჩმა თავიდანვე მიანიშნა, რომ უსაფრთხოების საკითხები მას რუსეთთან ურთიერთობების გართულებად არ უღირს.

ის, რაც უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას რეალურად აინტერესებს, ცნობილი მსოფლიო ლიდერების (მედვედევი-პუტინი, და სარკოზი-მერკელის) დემონსტრაციული პოლიტიკური მხარდაჭერა და ამა თუ იმ ქვეყანასთან მეგობრობიდან მიღებული ბიზნეს-მოგებაა.

უკრაინის ხელისუფლებას რუსეთთანაც კონკრეტული გარიგებები აინტერესებს, თუნდაც ისინი სტრატეგიული კუთხით უარყოფით გავლენას ახდენდნენ უკრაინის ნაციონალურ ინტერესებზე.

უკრაინელი და დასავლელი ექსპერტები თანხმდებიან: უკრაინის პრეზიდენტს აუცილებლად მოუწევს, დათმოს „სტრატეგიული წონასწორობის“ პოლიტიკა და განსაზღვროს, რომელი საგარეო ექტორია მისთვის პრიორიტეტი.

სინამდვილეში ეს „სტრატეგიული წონასწორობა“ სხვა არაფერია, თუ არა ბანალური პოლიტიკური შპაგატი. ადრე თუ გვიან, უკრაინას აქედან ადგომა მოუწევს, რადგან ეს პოზა მეტად მოუხერხებელია. **□**

■ ახალი პრეზიდენტის გუნდი რუსეთთან დიპლომატიური ჰარმონიის მიზნითაც სერიოზულ ნაბიჯებს დგამს – დღის წესრიგიდან მოიხსნა ნატო-ში განწევრიანების სურვილი და რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტს ყირიმში მწვანე შუქი აენთო.

ტობის პირველსავე დღეებში უკრაინას შეგნებული არჩევნის წინაშე აყენებდნენ: ან ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონა, ან საბაჟო კავშირი რუსეთთან, ბელარუსთან და ყაზახეთთან.

უკრაინის ახალი პრეზიდენტის პირველი საგარეო ვიზიტი, მოსკოვში კი არა, ბრიუსელში შედგა.

ახლახან იალტის საერთაშორისო კონფერენციაზე, ერთგვარ საერთაშორისო-პოლიტიკურ უკრაინულ მექაზე, რომლის ორგანიზატორი უკრაინელი ბიზნესმენი და ფილანტროპი ვიქტორ პინჩუკია, ხავეიერ სოლანა დაინტერესდა, ისევე იმავე არჩევანს გააკეთებდა თუ არა იანუკოვიჩი – ბრიუსელში წავიდოდა პირველ ვიზიტად, თუ რომელიმე სხვა ქვეყნის დედაქალაქს მიაშურებდა.

უკრაინის პრეზიდენტმა მოულოდნელად და მოჭრილად უპასუხა: „ჩემებმა იციან გზა“.

ევროპულმა საზოგადოებამ, მათ შო-

ევროკავშირზე მხოლოდ საუბრობდა, პრეზიდენტ იანუკოვიჩის დროს ევროინტეგრაციის იდეა, შესაძლოა, რეალობად იქცეს.

ვიქტორ იანუკოვიჩს ევროინტეგრაციის რიტორიკა იმისთვისაც სჭირდება, რომ რუსეთთან დიალოგისას მისი ფარად აფარება შეეძლოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რუსები უკრაინელ კოლეგებს თავიანთ საინტეგრაციო პროექტებს შესთავაზებენ, უკრაინას შეეძლება თქვას, რომ მსგავს პროექტებში მონაწილეობა ევროკავშირთან ადრე აღებული ვალდებულებების გამო არ შეუძლია.

უკრაინის ექსპერტულ წრეებში აქტიურად ბჭობენ იმაზე, თუ როდის მოებზრდება ოფიციალურ მოსკოვს და როდის აუნთებს წითელ შუქს უკრაინის ევროპისკენ სწრაფვას.

მოითმენს კი ის ორივე ქვეყნისთვის – რუსეთისა და უკრაინისთვის ევროკა-

რუსეთის შვედები პრაზიციანი

დიდი ხბოდა

რუსეთის მომავალი პრეზიდენტის ვინაობა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა გაირკვეს. შიდა ბრძოლა პირველობისთვის პუტინსა და მედვედევს შორის უკვე დაწყებულია.

სოფო ბუკია



ფოტო: რან ნოვოშინ / Reuters

დიდი შეჯიბრი დაწყებულია. პრიზი – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტობა

სამამულო წარმოების ყვეთელი „ლადა კალინას“ საჭეს პრემიერი პუტინი თავად მართავს, ხაბაროვსკი-ჩიტას ახლად გარემონტებულ ავტომაგისტრალს მიუყვება და რუსული მანქანათმშენებლობის წარმატებებზე საუბრობს. შემდეგ ინტერნეტში ჩნდება ინფორმაცია, რომ პრემიერის „ლადა“ თურმე გზაში გაფუჭებულია და სათადარიგოთი შეუცვლიათ.

რამდენიმე დღეში სანკტ-პეტერბურგი – კიევის გზაზე მოდერნიზებული

„პოხედა“ მიჰქრის. საჭესთან პრეზიდენტი მედვედევია. ის საიმპერატორო რალიში მონაწილეობს, რომელიც პირველად 100 წლის წინ ამავე ტრასაზე ნიკოლოზ მეორის ინიციატივით გამართულა.

მანამდე ნაციონალურმა ტელეარხებმა პრეზიდენტის საცხოვრებელ აპარტამენტებში ერთ-ერთი შეხვედრის ვიდეოკადრები გაავრცელეს. კადრში ულტრათანამედროვე აუდიოსისტემა მსხვილი

ხედით მოხვდა. რუსმა ბლოგერებმა დაწერეს, რომ მელომანმა პრეზიდენტმა თავის ჰობიში მინიმუმ 200 ათასი დოლარი დახარჯა.

ზუსტად ორ კვირაში გაჩნდა კადრები, სადაც მოქმედება უკვე პრემიერ პუტინის სახლში ხდება. ის მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობს. პუტინს და მის მეუღლეს ნაცრისფერი, უბრალო ტანსაცმელი აცვიათ. მათი ბინა გვიანი „პერესტროიკის“ დროინდელ „ობკომის“

აგარაკს ჰგავს, მოკრძალებული, ძველ-მოდური სამეულითა და კინესკოპური ტელევიზორით.

ეს პიარ-აქციები რუსეთის პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაწყებული ღია, დაუფარავი კონკურენციის ნიშანია.

რაც უფრო ცოტა დრო რჩება 2012 წლამდე, მით უფრო ბუნდოვანია პასუხი რუსული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე: ვინ გახდება რუსეთის ფედერაციის შემდეგი პრეზიდენტი – ვლადიმირ პუტინი თუ დიმიტრი მედვედევი?

თუ პუტინის მართვის სტილთან და მის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია, არავინ იცის, რას იზამს მედვედევი, თუ ის ოდესმე რუსეთის რეალური მმართველი გახდება.

მაგალითად, დაიწყებდა თუ არა მედვედევი საქართველოსთან ომს 2008 წელს, ეს რომ მისი გადასაწყვეტი ყოფილიყო? ან მისცემდა თუ არა სამოქალაქო საზოგადოებას მეტ თავისუფლებას, რის

დება“ და „სერიოზული პრობლემები“ არ აქვს.

„ქრონიკულ კორუფციაზე“ საუბარი, რომელიც „ჭამს რუსეთს“, მედვედევის საპრეზიდენტო რიტორიკის მთავარ ელემენტად იქცა. პუტინი კი მიიჩნევს, რომ კორუფცია ბევრ სხვა ქვეყანაშიც არსებობს და რუსეთი ამ მხრივ განსაკუთრებული გამოწვევის სულაც არ არის.

მედვედევი ჩრდილოეთ კავკასიის სტაბილურობას ეჭვქვეშ აყენებს და ამბობს, რომ „ეს რეგიონი რუსეთის ყველაზე სერიოზული შიდაპოლიტიკური პრობლემაა“. პუტინისთვის კი „ჩრდილოკავკასიური სტაბილურობა“ პირადი პროექტია, რომლის წყალობითაც იგი თავის დროზე ხელისუფლებაში მოვიდა და დღესაც ცდილობს, ეფექტურად გამოიყენოს.

მედვედევი გამოდის მონოდებით – შეიქმნას „პოლიტიკური კულტურა თავისუფალი და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისთვის“.

პუტინი კი გულწრფელად ამართლებს

გამორიცხულია და ისინი ერთობლივად შეთანხმდებიან, რომელი მათგანი იყრის კენჭს შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

თუმცა თავის უკანასკნელ ინტერვიუში უცხოურ პრესასთან, მედვედევმა პირველად აარიდა თავი სიტყვას „შეთანხმება“ და აღნიშნა, რომ „მოიქცევა ისე, როგორც დასჭირდება ქვეყანას და პოლიტიკურ სიტუაციას“.

გასულ კვირას „თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის“ (ინსორ-ი) ხელმძღვანელმა იგორ იურგენსმა გააკეთა განცხადება, რომელიც რუსი ექსპერტების აზრით, მედვედევის საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენის პირველი საჯარო მცდელობაა.

„ვლადიმირ ვლადიმოვიჩმა არაჩვეულებრივი საქმე გააკეთა 2000-დან 2008 წლამდე. ხალხი უკეთესად ცხოვრობს. მაგრამ თუ სტაბილიზაცია მუდმივად გაგრძელდება, იგი სტაგნაციამდე მიგვიყვანს. საჭიროა მოდერნიზაცია. ეს კი მედვედევთან ასოცირდება როგორც

■ „ვლადიმირ ვლადიმოვიჩმა არაჩვეულებრივი საქმე გააკეთა. ხალხი უკეთესად ცხოვრობს. მაგრამ თუ სტაბილიზაცია მუდმივად გაგრძელდება, იგი სტაგნაციამდე მიგვიყვანს. საჭიროა მოდერნიზაცია. ეს კი მედვედევთან ასოცირდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“.

აუცილებლობაზეც დღეს ხშირად საუბრობს?

განსხვავება, რომელიც ამ ორ ლიდერს შორის ჩანს, ჯერ მხოლოდ მათ განცხადებებში იკითხება და იმიჯმეიკერების მიერაა შექმნილი.

პრემიერ პუტინის სტრატეგიული პროგრამა და მისი ხედვა თითქმის პუნქტობრივად უარყოფს პრეზიდენტ მედვედევის მიერ გამოცხადებული „მოდერნიზაციის“ საკვანძო ელემენტებს.

მედვედევისთვის რუსეთის ეკონომიკა „ქრონიკულად ჩამორჩენილი“ და „პრიმიტიული“, რადგან მხოლოდ ნედლეულის ექსპორტზეა დამოკიდებული და ადამიანურ რესურსს არ ითვალისწინებს. პუტინი კი ფიქრობს, რომ ქვეყნის ეკონომიკა „სწორ გზას“ ადგას, „მდგრადად ვითარ-

მოსკოვის მილიციის ქმედებებს, რომლებიც ქუჩაში გამოსულ დემონსტრანტებს სასტიკად სცემენ და აპატიმრებენ. პრემიერი მიიჩნევს, რომ თუ მომიტინგეები არაა აგდებენ მოსკოვის ცენტრში დემონსტრაციების გამართვის აკრძალვას, მათ „თავში კეტი უნდა მოხვდეთ“.

პრემიერი სკეპტიკურად უყურებს პრეზიდენტის მიერ დეკლარირებულ აშშ-სთან „გადატვირთვის“ პოლიტიკასაც. აშშ არ ამბობს უარს საქართველოს შეიარაღებაზე და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების განთავსებაზე – ეს პუტინის მთავარი არგუმენტებია. „ძალიან მინდა, მჯეროდეს ამ გადატვირთვის, მაგრამ სად არის ეს გადატვირთვა?“ – კითხულობს იგი.

აქამდე ორივე ლიდერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მათ შორის კონფლიქტი

ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ,“ – აღნიშნა იურგენსმა.

იურგენსის მტკიცებით, 2012 წლის არჩევნებში სწორედ დიმიტრი მედვედევმა უნდა იყაროს კენჭი. საინტერესოა, რომ ინსორ-ის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი პრეზიდენტი მედვედევია.

სექტემბერში მედვედევმა თანამდებობიდან გაათავისუფლა პუტინის ერთგული ჩინოვნიკი – მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, რომელიც რუსეთის დედაქალაქს ხელმეუხებლად 18 წელი განაგებდა. მსგავსი მასშტაბის და სითამამის საკადრო გადანაცვლებები მედვედევმა პირველად მიიღო თავისი საპრეზიდენტო კარიერის განმავლობაში.

ლუჟკოვის გაათავისუფლების შემდეგ, ასევე პირველად თავის საპრეზიდენტო კარიერაში, მედვედევის ნდობის რეიტინ-

გი იმდენად აინია, რომ მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამორჩებოდა პუტინის მაჩვენებელს.

იყო თუ არა ეს მედვედევის რეალური გამარჯვება და მოჰყვება თუ არა მას პრეზიდენტის მხრიდან სხვა პრინციპული გადაწყვეტილებები?

პოლიტოლოგი ლილია შვეცოვა დაწინაურებულია, რომ ლუჟკოვის განთავისუფლების შესახებ საბოლოო გა-

ნაზე პირადად ზრუნავს – ბოლო რამდენიმე თვეა, პრემიერის იმიჯმეიკრები თითქმის წინასაარჩევნო დატვირთვით მუშაობენ. მათ პუტინი, როგორც ნაციონალური ლიდერი, უნდა დაუპირისპირონ ლიბერალი ინტელექტუალის იმიჯის მქონე მედვედევის.

მედვედევის პუტინის ავტორიტარული ქარიზმის ნახევარიც არ აქვს. ის ჯინსებში დადის, „ფასტ ფუდში“ ილუკება,

ეთიშება, საბოლოოდ დაკარგავს შანსს, ოდესმე ისევ გახდეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

თუ არჩევნებზე მედვედევი გავა, იგი კიდევ 6 წელი იქნება რუსეთის პრეზიდენტი. პუტინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში კი, მას საშუალება ექნება, კიდევ 12 წელი მართოს რუსეთი. ასეთ შემთხვევაში პუტინი ჯამში 20 წელს გატარებს რუსეთის პირველი პირის რანგში, რაც 2 წლით მეტია, ვიდრე ბრეჟნევის ეპოქა, რომელიც განსაკუთრებული ეკონომიკური, სოციალური და მორალური სტაგნაციით გამოირჩეოდა.

ფინანსები, საკადრო პოლიტიკა, ძალოვნებისა და მედიის კონტროლი – ეს ყველაფერი დღეს რუსეთის ერთპიროვნული მმართველის – ვლადიმერ პუტინის ხელშია.

შეუძლია კი მედვედევის ამ პირობებში რეალურად რამე შეცვალოს და მეორე ვადაზე იოცნებოს?

მედვედევის ჰყავს თავისი გუნდი. რუსეთის ლიბერალური საზოგადოებაც უპირატესობას მას ანიჭებს, თუმცა დღევანდელ რუსეთში ეს იმდენად უსუსური რესურსია, რომ მის იმედად დარჩენა იმთავითვე წაგებას ნიშნავს.

მედვედევის ერთ-ერთი კოზირი მისი დასავლური იმიჯია. დასავლელ პოლიტიკოსებსა და დამკვირვებლებს დღესაც სჯერათ, რომ მედვედევი „მოდერნიზებული“ გორბაჩოვია, რომელიც რეალურად გარდაქმნის რუსეთს თანამედროვე სახელმწიფოდ.

თუმცა, ეს მითიც ინგრევა – ცოტა ხნის წინ, სწორედ მედვედევის პრეზიდენტობის დროს, მიიღეს კანონი, რომელიც ფსბ-ს უფლებებს ზრდის, რაც ექსპერტების აზრით, რუსეთის პოლიციურ სახელმწიფოდ გარდაქმნის საფრთხეს შეიცავს.

პრეზიდენტობის ორი წელი საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ „მოდერნიზაციაზე“ მხოლოდ ილაპარაკო და კონკრეტული არაფერი გააკეთო. სწორედ ამიტომ, ბევრისთვის დამტრია მედვედევი კვლავ რჩება პუტინის უმცროს თანამემნედ, რომელიც მოულოდნელად პრეზიდენტი გახდა. ■



რუსეთის მოსახლეობას არჩევნის გაკეთება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის მოუწევს

დაწყვეტილება პრეზიდენტმა კი არა, პრემიერ-მინისტრმა მიიღო:

„მედვედევის აქ რალაც ბიზანტიური ეტიკეტის განხორციელების ფუნქცია მიენიჭა. მას უბრალოდ ოფიციალური, ფორმალური სახე უნდა მიეცა ლუჟკოვის გათავისუფლებისთვის... როცა მედვედევისა და ლუჟკოვის შორის კონფლიქტმა პიკს მიაღწია, პუტინი ჩაერია. იგი უფრო პრეზიდენტის ინსტიტუტის დევალვაციას მოერიდა, ვიდრე კონკრეტულად – მედვედევის“.

სამართლიანი არბიტრი, რუსული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი, სტაბილურობის, სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტი, ძლიერი მაჩო, რომელიც არბალეტით ვეშაპებზე ნადირობს, აალებულ ტყეებში ხანძარს აქრობს, ამურის ვეფხვისა და თეთრი დათვის გადარჩე-

როკს უსმენს და twitter-სა და facebook-ზე „პოსტავს“. ამ საზგასმული „მოდერნიზაციით“ იგი პუტინის ძველმოდურობის გამოკვეთას ცდილობს და აქცენტს სისტემურ ცვლილებებზე აკეთებს (მილიციის გარდაქმნა პოლიციად).

იმიჯმეიკრების გზავნილი მარტივია: პუტინი წარსული დროის, საბჭოთა მმართველია, მედვედევი კი – რუსეთის მომავალი.

თუმცა არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის რუსეთის მოსახლეობის გასაკეთებელია. პუტინის მთელი მმართველობის პერიოდში „ველიკოდერჟავობა“ და საბჭოთა წარსული ნაციონალურ იდეად იქცა. ამდენად, ძნელი გამოსაცნობი არ არის რომელი იმიჯია „იდუმალი რუსული სულისთვის“ უფრო მშობლიური.

ის, ვინც 2012 წლის მარათონს გამო-

დაახვეს... ვინ იქნება შედეგი?



სამართალდამცავებმა ნავთობპროდუქტების ბიზნესში ჩართული კომპანიების „ა.მ.ო“-ს, „ოილის“ „ნეროსა“ და „გრანდის“ თანამშრომლები დააკავეს.

ბესო კურტანიძე

ამ კომპანიებს ნავთობის ბაზარზე მცირე წილი ჰქონდათ, სულ 5-10 პროცენტი. მას შემდეგ, რაც „სოკარმა“ აზერბაიჯანიდან სანავთობის შემოტანაზე მონოპოლია მოიპოვა, სანავთობის მხოლოდ მას შემოჰქონდა და ეს ფირმებიც მის მიერ შემოტანილი ნავთობ-პროდუქტების მცირე რაოდენობას ასაღებდნენ.

ამ ნავთობკომპანიების მმართველთა დაპატიმრებებს ისეთივე რეაქცია მოჰყვებოდა, როგორც, ვთქვათ, ამ რამდენიმე ხნის წინ გარემოვაჭრეების დაპატიმრებას, თუმცა ასე არ მოხდა. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა „ა.მ.ო“-ს მენეჯერი ვახტანგ სუბელიანი, ოპოზიციური „ქართული პარტიის“ ლიდერის – სოზარ სუბარის – ძმა. გაჩნდა ეჭვი, რომ ვახტანგი ძმის საქმიანობის გამო დააპატიმრეს. ამ ეჭვს აძლიერებდა ისიც, რომ ეს ოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტმა განახორციელა და არა საფინანსო პოლიციამ.

ხელისუფლების კონტროლირებადმა საინფორმაციო საშუალებებმა გამოაცხადეს, რომ სოზარ სუბარის ძმამ ყალბი დოკუმენტაციის შედგენით სხვებთან ერთად ბიუჯეტი ათეულ მილიონობით ლარით აზარალა.

ვახტანგ სუბელიანი კომპანია „ა.მ.ო“-ს მენეჯერად მუშაობდა. მან 27 ოქტომბერს დილით გაიგო, რომ მისი კომპანიის დირექტორი, ბულალტერი და გაყიდვების მთავარი მენეჯერი ვაჟა ლეკიშვილი დააპატიმრეს. მან დაპატიმრებულებთან ადვოკატები მიიყვანა. დაკავებულებს ბრალი ნაუყენეს ყალბი დოკუმენტაციის დამზადებისთვის. დაკავებულმა ვაჟა ლეკიშვილმა ჩვენებაში თქვა, რომ მან მართლაც შეამცირა ანგარიშ-ფაქტურებში გაყიდული ნავთობ-პროდუქტის ფასი, მაგრამ ამას

როგორც გაყიდვების უფროსი მენეჯერი თავად ახორციელებდა, ამის თაობაზე არ იცოდნენ არც კომპანიის დირექტორმა და არც ბულალტერმა. დაიკითხნენ კომპანიის დირექტორი და ბულალტერიც და ამის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს. გამოძიებამ მათგან შეიტყო, რომ კომპანიის მენეჯერად სოზარ სუბარის ძმა მუშაობდა. ამის შემდეგ, ვახტანგ სუბელიანი ყველაზე ბოლოს დააპატიმრეს. ვაჟა ლეკიშვილის ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი არ გაიზიარა

■ თანხა რომელიც, შპს „ა.მ.ო“-ს გამო შესაძლოა ბიუჯეტს დააკლდა, სულ 373 ლარს შეადგენს.

რეს, სადაც თავის რიგით თანამშრომელზე აცხადებდა, რომ მას არანაირი დოკუმენტაცია არ გაუყალბებია.

შს-მ გაავრცელა ვახტანგ სუბელიანის სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები, სადაც საუბრობენ სანავთობის გაყიდვაზე. ინფორმაცია საზოგადოებას ისე მიენიშა, თითქოს აქ სანავთობის ფასის შემცირებაზეა ლაპარაკი, თუმცა იქ მსგავსი არაფერია ნათქვამი. ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან სახელმწიფოს პროპაგანდისტულმა მანქანამ ის გაყიდა, რისი გაყიდვაც სურდა.

სუბელიანის ბრალი ხუთი ეპიზოდისგან შედგება. გავრცელებული ინფორმაცია ბიუჯეტისთვის ათეულ მილიონობით ლარის ზარალზე — ბლეფი აღმოჩნდა და თანხა რომელიც, შესაძლოა ბიუჯეტს დააკლდა, სულ 373 ლარს შეადგენს. იგივე მდგომარეობაა სხვა კომპანიებშიც — თანხა, რომელსაც გამოძიება სხვა სამ კომპა-

ნიას ედავება, დაახლოებით 1700 ლარია.

გამოძიებამ სასამართლოსთან იმუამდგომლა, რომ დაკავებულ 13 პირს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეფარდებოდა. ადვოკატებმა მოითხოვეს დაპატიმრებულებები გირაოს წესით გაეთავისუფლებინათ. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატო ხუჯაძემ პროცესზე ყველა მათგანს ჰკითხა, შეთავაზებულ თანხას რამდენ ხანში გადაიხდიდნენ. უპასუხეს, რომ გირაოს თანხას მეორე დღითვე გადაიხდიდნენ. თუმცა, ესეც ბლეფი აღმოჩნდა: მოსამართლემ თანხის რაოდენობა იკითხა მხოლოდ იმიტომ, რომ ციცილიზებულ ქვეყნებში ეს აუცილებელი პროცედურაა. ხოლო გადაწყვეტილება, ჩვეულებრივად, აქაური წესისამებრ მიიღო — ცამეტივე პირი ციხეში გაუშვა.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას ცუდად გახდა ასაკოვანი ბრალდებული ბექაური და ამის გამო სასწრაფო გამოიძახეს. გულზე გადატანილი ოპერაციის გამო შეუძლოდ გახლდათ დაკავებული ლეკიშვილიც, რომელსაც პროცესზევე ასმევდნენ ნამლებს, თუმცა არც მისი ავადმყოფობის ისტორია გაითვალისწინეს.

„სასამართლოებში წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ბრალდების ტექსტში მხოლოდ სამი რამ იცვლება — სახელი, გვარი და თარიღი. მოსამართლეები არ ასაბუთებენ იმას, თუ რატომ არ შეიძლება კონკრეტულ განსასჯელს სხვა სადამსჯელო ღონისძიება შეეფარდოს. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში, მოსამართლე საფუძვლიანად უნდა გაესაუბროს ბრალდებულს, ის დარწმუნებული უნდა იყოს ამ ღონისძიების აუცილებლობაში, რაც დღევანდელ სასამართლოებში არ ხდება“, — ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში ადამიანის უფლებათა ექსპერტი ბესო ბონაშვილი. ■

პოლიტიკური ნომები

პასიური ზაფხულის შემდეგ ოპოზიციის ნაწილი ძალებს იკრებს. უმეტესობა ხელისუფლების შესაცვლელად კიდევ ერთი „გადამწყვეტი ბრძოლისთვის“ ემზადება. ნომები, სავარაუდოდ, ყრილობებისა და აქციების თვედ გადაიქცევა.

მაია ნიკლაური



„ქართული პარტიის“ ლიდერები ახალი ოფისის პრეზენტაციაზე, ოქტომბერი 2010

გასულ კვირას ეროსი კინმარიშვილის, ირაკლი ოქრუაშვილის, სოზარ სუბარისა და კოკა გუნცაძის ახლადშექმნილმა პოლიტიკურმა გუნდმა ოფისის პრეზენტაცია მოაწყო.

ოთხსართულიანი, ვარდისფერი, კეთილმოწყობილი შენობის დასათვალიერებლად, უზნაძის № 113-ში ოცდაათამდე ჟურნალისტი მიიწვიეს.

„წარმოგიდგენთ ჩვენს ახალ ოფისს.

გაცნობებთ, რომ „ქართულ პარტიას“ შეუფერხებელი კომუნიკაციის მიზნით მედიასთან გახსნილი ურთიერთობა ექნება“, – განაცხადა კოკა გუნცაძემ და ჟურნალისტები სადილზე მიიპატიჟა.

„ახალმოსახლობა“ საკონფერენციო დარბაზს არ გასცდენია. ფოტოგრაფებს და ოპერატორებს ამ დარბაზს მიღმა გადაღება აკრძალათ, ჟურ-

■ **თქვენ არ იქნებით უჩინარი ძალა! თქვენ შეგეძლებათ, გახდეთ ლიდერები!** ეს პოლიტიკური ბიზნესის ჩამოყალიბების მცდელობაა“, – განაცხადა ეროსი კინმარიშვილმა.



„25 ნოემბრის შეკრება ხალხის სახლში გაშვებით არ დასრულდება“ – ირაკლი ბათიაშვილი



ნალისტებს კი – მესამე და მეოთხე სართულზე ასვლა.

ითქვა, რომ შენობა, სადაც „ქართული პარტია“ პოლიტიკურ აქტივობას გააჩაღებს, ისრაელის მოქალაქეებს ეკუთვნის. ლიდერებმა არ უპასუხეს კითხვას – რამდენია ყოველთვიური ქირა, რომელსაც პარტია ამ ოფისისთვის იხდის.

უპასუხოდ დარჩა უწყინარი კითხვა – რამდენი ოთახია შენობაში.

„დათვალეთ რამდენია ფართობი, გაიგეთ საბაზრო ფასი და გამოთვალეთ რამდენი შეიძლება, გადავიხადოთ“, – გვირჩია ეროსი კინმარიშვილმა.

სამაკლერო კომპანიებში აცხადებენ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ბინის დაქირავებისას კვადრატული მეტრი საშუალოდ 50 დოლარი ღირს. თუ გავითვალისწინებთ ამ მონაცემებს და იმას, რომ „ქართული პარტიის“ ოფისი მინიმუმ 200 კვადრატული მეტრია, მაშინ ამ შენობის დასაქირავებლად პარტია თვეში დაახლოებით 10 ათას დოლარს იხდის.

ახალ ოფისში პარტიის ლიდერები ახალ პოლიტიკურ მოძრაობაში განვირიაანების მსურველებს ელოდებიან.

„ხალხთან უწყვეტ კავშირს“ სპეციალური ცხელი ხაზი და პარტიის „საზოგადოებრივი მისაღები“ უზრუნველყოფს.

„ჩვენთან თქვენი ენერჯია იქნება სრულად გამოყენებული და იქნებით წარმატებული. მოქალაქეს, რომელიც ჩვენთან მოვა, საშუალება ექნება, რიგითი წევრობიდან პარტიის ყველაზე მაღალ წრტილს მიაღწიოს და ეს გზა საკუთარი ცოდნის და გამოცდილების ხარჯზე გაიაროს. თქვენ არ იქნებით უჩინარი ძალა, რომელზეც ლიდერები დგანან! თქვენ შეგეძლება, გახდეთ ლიდერები! ეს პოლიტიკური ბიზნესის ჩამოყალიბების მცდელობაა“, – განაცხადა ეროსი კინმარიშვილმა.

მისი თქმით, ქართულ პოლიტიკას ახალი სახეები სჭირდება და „ქართული პარტია“ შექმნის ამ სახეებს.

„ახალი სახეებით“ „ქართული პარტია“ თავისი მთავარი მიზნის მიღწევას შეეცდება: „ჩვენ შევცვლით ამ ხელისუფლებას. ბრძოლის გზაზე ნებისმიერ სამართლებრივ გზას გამოვიყენებთ წარმატების მისაღწევად. ეს იქნება არჩევნები, თუ ნებისმიერი სხვა“, – აცხადებენ პარტიის ლიდერები.

სამომავლო სტრატეგიას პარტიის ლიდერები 24 ნოემბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარადგინენ. „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღეს „ქართული პარტია“ დამფუძნებელ ყრილობას გამართავს. რით განსხვავდებიან სხვა ოპოზიციური პარტიებისგან და რას სთავაზობენ განსაკუთრებულს ამომრჩეველს – ამ არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად პარტიის ლიდერებს თვეზე ნაკლები რჩებათ.

„ქართული პარტიის“ ყრილობის მეორე დღეს, 25 ნოემბერს თავის მხარდამჭერებს „სახალხო კრება“ მოუყრის თავს. ამ ჯგუფის მთავარი მიზანიც ხელისუფლების შეცვლაა. მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო კრების“ შეხვედრებს ორგანიზებას ნინო ბურჯანაძის პარტია უწევს, ამ ძალის ლიდერობას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე კატეგორიულად უარყოფს.

საინციბატივო ჯგუფი, რომელსაც დამსახურებული მსახიობები, მწერლები და მოჭადრაკეები შეადგენენ, უკვე ერთი თვეა, შეხვედრებს სხვადასხვა რეგიონში მართავს და მოსახლეობას დიდი „სახალხო კრებისთვის“



„ეროვნული ფორუმის“ წევრს პოლიციის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

ფოტო: შინა საინფორმაციო

■ „ვარდების რევოლუციის“ 7 წლისთავიდან მესამე დღეს „სახალხო კრება“ „ხელისუფლების მოშორებისა და მისი დემონტაჟის, სახალხო წინააღმდეგობის“ კონკრეტულ გზებს დასახავს და შეკრებილ საზოგადოებას „ხალხის დაკვეთას“ გააცნობს. აქვე გადანწყდება, რა ფორმით გააგრძელებს ეს მოძრაობა ბრძოლას.

ამზადებს.

„გინდათ ამ ხელისუფლების მოშორება? მაშინ დავდგეთ ერთად და სახალხო წინააღმდეგობის გზით დავინწყით სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟისთვის ბრძოლა!“ – ასე მიმართავდა დარბაზს „სახალხო კრების“ პირველ შეხვედრაზე ნონა გაფრინდაშვილი.

„ვარდების რევოლუციის“ 7 წლისთავიდან მესამე დღეს „სახალხო კრება“ „ხელისუფლების მოშორებისა და მისი დემონტაჟის, სახალხო წინააღმდეგობის“ კონკრეტულ გზებს დასახავს და შეკრებილ საზოგადოებას „ხალხის დაკვეთას“ გააცნობს. აქვე გადანწყდება, რა ფორმით გააგრძელებს ეს მოძრაობა ბრძოლას.

სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფის წევრის – ირაკლი ბათიაშვილის თქმით, „25 ნოემბრის შეკრება ხალხის სახლში გაშვებით არ დასრულდება“.

ხელისუფლების წინააღმდეგ აქციების დაწყებას ნოემბერში გეგმავს „ეროვნული ფორუმიც“. გუბაზ სანიკიძის გუნდმა პირველი „მოთელვითი რაუნდი“ ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებთან უკვე გაიარა. მოვაჭრეები ლი-

ლოს ბაზრობის რუსთავში გადატანის წინააღმდეგ და გადასახადების შემცირების მოთხოვნით გაიფიცნენ.

„21 ოქტომბერს ლილოს ბაზრობაზე ძალოვანი სტრუქტურები მზად იყვნენ, მოვაჭრეების ამბოხის შემთხვევაში, ეს ადამიანები დაეპატიმრებინათ. „ეროვნულმა ფორუმმა“ ისინი დაპატიმრებას გადაარჩინა. სამაგიეროდ, ამას ჩვენი პარტიის წევრი ზაზა ჩაკვეტაძე შეენირა“, – განაცხადა „ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა შარტავამ.

ზაზა ჩაკვეტაძეს პოლიციელის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. პარტიაში კი ირწმუნებიან, რომ ის უდანაშაულო პოლიტიკური პატიმარია.

„ეს კიდევ ერთი საფუძველია იმი-სა, რომ შეიცვალოს არსებული რეჟიმი და ის სასამართლო, რომელმაც ჩაკვეტაძეს პატიმრობა შეუფარდა“, – აცხადებს შარტავა.

„ფორუმი“ ჩაკვეტაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს.

გარდა ამისა, 4 ნოემბერს იწურება „ეროვნული ფორუმის“ მიერ ხელისუფლებისთვის მიცემული ვადა. ამ ვადაში საპარლამენტო უმრავლესობამ „ფორუმის“ მიერ ინიცირებული საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების პროექტი უნდა განიხილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუბაზ სანიკიძის გუნდი ქუჩის აქციებს გამართავს.

ცვლილებათა პაკეტი, რომელიც „ეროვნულმა ფორუმმა“ შვიდ ოპოზიციურ პარტიასთან („ქრისტიან დე-

მოკრატული მოძრაობა“, „ხალხის პარტია“, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, „კონსერვატორები“, „ახალი მემარჯვენები“, „რესპუბლიკელები“, „საქართველოს გზა“) ერთად შეიმუშავა და განსახილველად პარლამენტს გაუგზავნა, არსებული საარჩევნო სისტემის შეცვლას ითვალისწინებს. პროცესში მონაწილე პოლიტიკოსების განცხადებით, საარჩევნო კოდექსის ეს პროექტი სრულად უზრუნველყოფს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების თანასწორობას და გამორიცხავს გაყალბებას.

„ხელისუფლების უარი მათი მარცხი იქნება. ეს 2011 წლამდე უნდა მოხდეს. 2011 წელი ან ჩვენი გამარჯვებით დაიწყება, ან ჩვენს გარეშე. დავინწყებთ ბრძოლას ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ არავის არ დაველოდებით და დანყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ“, – შარტავას თქმით, „ფორუმი“ პროცესებზე პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს.

საარჩევნო კოდექსის მხარდამჭერი დანარჩენი 7 პარტიიდან ქუჩაში გამოსულ „ფორუმს“, სავარაუდოდ, მხოლოდ „კონსერვატორები“ და „ხალხის პარტიის“ წევრები შეუერთდებიან.

ოპოზიციასთან ერთად, ნოემბრის ბოლო დატვირთული დრო იქნება მმართველი პარტიისთვისაც. „ვარდების რევოლუციის“ 7 წლისთავის საზეიმო აღნიშვნა თბილისის გარდა, რეგიონულ ცენტრებში – ქუთაისსა და ბათუმშიც იგეგმება. ■

ინფორმაციის საჯაროობა

დახუხუცი საჯარო ფონდი

მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების ბიუჯეტი იზრდება, მათი საქმიანობის გამჭვირვალობა კი მცირდება.

ნათია ახალაშვილი



ფოტო: ირაკლი ბაღდოძე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიხედვით
საკაპიტოლო საპარტიო მოქალაქეებს ღირსების
ორდენები გადასცა, 26 მაისი 2010

პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებზე ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით, „ლიბერალმა“ პრეზიდენტის აპარატში, სახელმწიფო კანცელარიასა და ფინანსთა სამინისტროში წერილები 29 სექტემბერს შეიტანა.

კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ (ადმინისტრაციული კოდექსი, თავი მესამე) ამ უწყებებს მსგავს მიმართვაზე რეაგირებას ავალდებულებს და ჟურნალისტის კითხვებზე პასუხის გაცემისთვის 10 დღის ვადას აძლევს.

პასუხი რედაქციაში არც ათი დღის ვადაში მოსულა და არც შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 2004 წელს დაარსდა. 2005 წელს შეიქმნა მთავრობის სარეზერვო ფონდიც.

ყველაზე ცოტა თანხა – 10 მილიონი ლარი – პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს არსებობის პირველ წელს ჰქონდა. თუმცა, ამავე წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ფონდიდან 24,5 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯა.

იგივე მოხდა შემდეგ წელსაც – ფონ-

დის ბიუჯეტი 14 მილიონ ლარამდე გაიზარდა, თუმცა ბევრად მეტი დაიხარჯა.

2006 წელს პრეზიდენტისა და სამთავრობო ფონდებისთვის ბიუჯეტიდან უკვე 30-30 მილიონი გამოიყო. 2007-2008 წლებში მათი ბიუჯეტი 25-25 მილიონი ლარით განისაზღვრა, თუმცა წინა წლების მსგავსად, გაცილებით მეტი იხარჯებოდა.

2010 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას განისაზღვრა, რომ თითოეული ფონდი მთელი წლის განმავლობაში 25-25 მილიონ ლარს იმყოფებოდა. თუმცა, უკვე

ივნისში ფონდების ანგარიშებზე თანხა აღარ იყო. ზაფხულში მათ დამატებით კიდევ 60 მილიონი ლარი გადაეცათ.

2011 წლის ბიუჯეტი კი, რომლის პროექტი მთავრობამ პარლამენტში უკვე წარადგინა, იმთავითვე ითვალისწინებს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებისთვის უპრეცედენტოდ დიდი თანხის – 100 მილიონი ლარის გადაცემას.

პროექტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2011 წელს 6,96 მილიარდი ლარით განისაზღვრა. პრეზიდენტისა და მთავრობისთვის გამოყოფილი თანხა ბიუჯეტის 1,4 პროცენტს შეადგენს და სამი უწყების: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და კულტურის სამინისტროების ბიუჯეტების ჯამს უტოლდება.

კონკრეტულად რაში იხარჯება პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებისთვის გამოყოფილი მილიონობით ლარი, ბოლო 4 წელია, დაზუსტებით მხოლოდ ამ ფონდების განმკარგველებმა იციან. ინფორმაცია, რომელიც, კანონის თანახმად, საჯარო უნდა იყოს, ყურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიუწვდომელია.

იურისტების თქმით, 2010 წელს ამოქმედებული საბიუჯეტო კოდექსის წყალობით, სარეზერვო ფონდებიდან თანხის ხარჯვის პროცესი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა.

„ფაქტობრივად, ახალ კანონში წერია, რომ სარეზერვო ფონდებიდან თანხა შეიძლება, დაიხარჯოს ყველა ისეთი ღონისძიებისთვის, რომელიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული“, – ამბობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) იურისტი თამარ კორძაია.

„საქართველოს მთავრობა თავარა მზის ქვეშ“ – ასე ერქვა წლიურ ანგარიშებს, რომლებსაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მთავრობისა და პრეზიდენტის ფონ-

დების შედგენას ყველანაირი აზრი დაუკარგა. ამ ცვლილების თანახმად, ფონდების ხარჯვის არეალი უპრეცედენტოდ გაფართოვდა.

„გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ თანხების განკარგვის შესახებ. ახლა მას ყველაფერზე შეუძლია ფულის ხარჯვა ისე, რომ ვერაფერში მოეღვაწებინა“, – ამბობს თამარ კორძაია.

დღეს ფონდების საქმიანობას „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 28-ე მუხლი განსაზღვრავს.

2005 წლამდე კანონში ეწერა: „სა-

■ სარეზერვო ფონდებიდან, ძირითადად, ფინანსდება: მივლინებები, ჯილდოები, სხვადასხვა კულტურული და გასართობი ღონისძიებები, უცხოელი სტუმრების მასპინძლობა, რომელიმე საჯარო მოხელისა ან უწყებისთვის ავტომობილების შეძენა.

დების საქმიანობის შესახებ ამზადებდა.

ბოლოს 2007 წლის ანგარიში გამოქვეყნდა.

როგორც თამარ კორძაია ამბობს, სარეზერვო ფონდების შესახებ ინფორმაციის მიღება არც მაშინ იყო იოლი. „საჯარო ინფორმაციასაც კი, როგორც წესი, მხოლოდ სასამართლოში ხანგრძლივი დავის შემდეგ ვიღებდით“, – ამბობს იგი.

თუმცა, 2005 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ ფონდების საქმიანობის შესახებ ანგა-

ქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისთვის, როგორცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები“ (მუხლი 13, პუნქტი 2).

თუმცა, 2005 წელს დამტკიცებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, პრეზიდენტს და მთავრობას საშუალება მისცა, დააფინანსონ „გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯები“.

ჰიჯიენისა და მთავრობის ფონდების ბიჯეტები

| | პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობა (ლარებში) | რეალურად დაიხარჯა (ლარებში) | მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა (ლარებში) | რეალურად დაიხარჯა (ლარებში) |
|------|---|-----------------------------|---|-----------------------------|
| 2004 | 10 მილიონი | 34,6 მილიონი | - | - |
| 2005 | 14 მილიონი | 39,9 მილიონი | 20 მილიონი | 80 მილიონი |
| 2006 | 30 მილიონი | 38,5 მილიონი | 14 400 000 | 62 603 126 |
| 2007 | 25 მილიონი | 38 მილიონი | 25 მილიონი | 96 მილიონი |
| 2008 | 25 მილიონი | ? | 25 მილიონი | ? |
| 2009 | 25 მილიონი | 50 მილიონი | 25 მილიონი | 50 მილიონი |
| 2010 | 25 მილიონი | 55 მილიონი | 25 მილიონი | 55 მილიონი |
| 2011 | 50 მილიონი | | 50 მილიონი | |

ცხრილში გამოყენებულია საია-სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

კონკრეტულად რა შედის „გაუთვალისწინებელ სახელმწიფო ხარჯებში“, ამას კანონი არ განმარტავს.

სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები კიდევ რამდენჯერმე შეიცვალა. ეს ცვლილებები ყოველთვის მიმართული იყო ფონდების დაფინანსების არეალის გაფართოებისკენ და ამცირებდა მათ ანგარიშვალდებულებას.

თანდათან გაუქმდა სარეზერვო ფონდების კონტროლის თითქმის ყველა მექანიზმი.

2006 წლიდან სავალდებულო აღარ არის პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების კვარტალური ანგარიშების პარლამენტისთვის წარდგენა. გარდა ამისა, მათი კონტროლის უფლება ჩამოერთვა ფინანსთა სამინისტროსაც.

ამავე წელს შევიდა ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში, რითაც დადგინდა, რომ ეს კანონი აღარ გავრცელდებოდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან განსახორციელებელ შესყიდვებზე. ამით პრეზიდენტს შესაძლებლობა მიეცა, თანხის ოდენობის მიუხედავად, საკუთარი სურვილისამებრ, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გადაენწყვიტა, რა შეესყიდა ფონდის თანხებით.

ორი წლის შემდეგ ასეთივე საკანონმდებლო შეღავათი მთავრობის სარეზერვო ფონდმაც მიიღო.

2007 წელს ტერმინი „გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯი“ „სახელმწიფო გადასახდელით“ შეიცვალა. ამით მხარჯავ დაწესებულებას სახსრების გამოყოფის თაობაზე განაცხადის წარდგენის ვალდებულება მოეხსნა. განაცხადში ფონდის მფლობელს გასაწვეი ხარჯის ოდენობა, მიზანი და ამ მიზნის დასაბუთება უნდა წარედგინა. დღეს მას ამის გაკეთება აღარ სჭირდება.

2009 წლის 18 დეკემბერს პარლამენტის მიერ ახალი საბიუჯეტო კოდექსის დამტკიცებით, საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების მოქმედების არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

მიენიჭა უფლებამოსილება, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ, თუ ის არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო პრეზიდენტს მსგავსი შეზღუდვაც კი არ აქვს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, გაზრდილი მოცულობითა და

ჰიჯიბიანის და მთაწმინდის საჩუხიჯო ფონდებიდან დაფინანსებული ღონისძიებები:

2006 წელი

- ▶ სესხი შპს „ქართული პროდუქტს“ – 5 500 000 ევრო
- ▶ სახელმწიფო დროშების შექმნისა და საქართველოს პრეზიდენტის საჩუქრის სახით მოსახლეობისათვის გადასაცემად – სულ 595 000 ლარი
- ▶ გმირთა მოედანზე შადრევნის მშენებლობა – 793 922 ლარი
- ▶ პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი ლონდონსა და მინსკში – 366 000 ლარი
- ▶ პრეზიდენტის საახალწლო მიმართვის ტრანსლაცია – 97 675 ლარი
- ▶ CNN-სა და Euronews-ზე რეკლამის განთავსება – 100 000 დოლარი და 60 000 ევრო.
- ▶ შს-ს „შეუფერხებელი ფუნქციონირება“ -15 100 000 ლარი, აქედან 2,5 მილიონი ლარი „საიდუმლო დანიშნულებით“.

2007 წელი

- ▶ საქართველოს „ევროვიზიაში“ მონაწილეობა – 450 ათასი ლარი;
- ▶ კიევი შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმა – 90 ათასი აშშ დოლარი.
- ▶ ტოტო კუტუნიოს კონცერტის ტრანსლაციის უფლება – 166 970 ლარი.
- ▶ სიღნაღის საზეიმო გახსნა – 354 218 ლარი
- ▶ სიღნაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 4 მილიონი ლარი
- ▶ 2008 წლის იანვარში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ეტაპის ღონისძიებათა შეუფერხებლად წარმართვა – 3 650 000 ლარი;

თავისუფალი დანიშნულებით, ფაქტობრივად, კონტროლის მექანიზმის გარეშე დარჩა.

მთავრობა საკუთარი ფონდების ბიუჯეტის ზრდას ფორსმაჟორული ვითარებებით ამართლებს.

„საქართველოში ფორსმაჟორული ვითარებები ხშირია. ფონდში უნდა იყოს თანხა, რომ დაუყოვნებლივ დაიხარჯოს. ადამიანს, რომელსაც სახლი დაემენყრა, ვერ ეტყვი – მოიცადე ერთი-ორი თვე, ბიუჯეტში ცვლილებას რომ შევიტანო, სახლს მერე აგიშენებო. ამიტომაც არ მესმის, რა პრობლემა იმაში, რომ ფონდებში თანხა იზრდება. ეს ისევე ჩვენი მოქალაქეებისთვის არ კეთდება?“ – ამბობს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი.

ახალგაზრდა იურისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ჩანს, რომ მაგალითად, 2006 წელს, სტიქიით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად პრეზიდენტის ფონდიდან წული ლარი დაიხარჯა. ამავე წელს პრეზიდენტმა ფონდიდან 6,6 მილიონი ლარი კულტურული და გასართობი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყო.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებები, რომ სარეზერვო ფონდებიდან, ძირითადად, „გაუთვალისწინებელი ხარჯები“ იფარება, სიმართლე არ არის.

მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდებიდან ყოველ წელიწადს დიდი თანხები სწორედაც რომ წინასწარ გათვალისწინებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს ხმარდება.

მაგალითად, ფინანსდება საახალწლო კონცერტები და 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის საზეიმო აღნიშვნა (2006 წლის 26 მაისთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპაციის ისტორიის გამოფენის მოწყობა 1 244 960 ლარი დაჯდა).

სარეზერვო ფონდიდან ასევე დაფინანსდა: „პრომეთუს“ ქანდაკების ესკიზური პროექტი (20 ათასი ლარი), მუსიკალური კონკურსის „პატრინოტის“ ჰიმნის დამზადება (85 ათასი ლარი), ტოტო კუტუნიოს კონცერტის ტრანსლაციის უფლების ყიდვა (166 970 ლარი).

მთავრობის სარეზერვო ფონდმა 57 ათასი ლარით დააფინანსა ვიდეო-კლიპის შექმნა სიმღერაზე „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ ამავე ფონდიდან გამოიყო 39 ათასი ლარიც, რომელიც კლიპში მონაწილე მომღერლებმა ფულადი ჯილდოს სახით გადაინაწილეს.

2007 წელს პრეზიდენტმა საკუთარი ფონდიდან 38 მილიონი ლარი დახარჯა. ახალგაზრდა იურისტების შეფასებით, ამ თანხიდან მიზნობრივად მხოლოდ 700 ათასი ლარი დაიხარჯა. ამ წელს საქართველოში მომხდარი 29 სტიქიური მოვლენიდან, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა მხოლოდ ერთის ზარალი აანაზღაურა.

იმავე წელს კიდევ უფრო მეტი დახარჯა მთავრობამ – 96 მილიონი, გამოყოფილი 25 მილიონის ნაცვლად. იურისტების შეფასებით, მიზნობრივად, ანუ სტიქიური მოვლენების პრევენციული სამუშაოების შესრულებისთვის მთელი თანხის მხოლოდ 7 პროცენტი დაიხარჯა.

სარეზერვო ფონდებიდან, ძირითადად, ფინანსდება: მივლინებები, ჯილდოები, სხვადასხვა კულტურული და გასართობი ღონისძიებები, უცხოელი სტუმრების მასპინძლობა, რომელიმე საჯარო მოხელის ან უწყებისთვის ავტომობილების შეძენა.

მაგალითად, კონდოლიზა რაისის ვიზიტი, ვახშამი და სასტუმრო 51 ათასი ლარი დაჯდა.

კიდევ უფრო ძვირადღირებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვალტერ შტიინმაიერის სტუმრობა. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ეს ვიზიტი 145 ათას 820 ლარით დაფინანსდა.

უცხოელი ექსპერტების ერთ-ერთი შეხვედრა სასტუმრო „მარიოტში“ 112 840 ლარი დაჯდა.

2008 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 37 ათასი ლარი საქართველოს სახალხო არტისტების ჯანმრთელობის დაზღვევისთვის გამოიყო.

პრეზიდენტისა თუ მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ხშირად ფინანსდება მშენებლობები და ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მაგალითად, მთავრობის ფონდიდან



სიღნაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები 4 მილიონი ლარი, საზეიმო გახსნა კი – 354 218 ლარი დაჯდა.

ფოტო: ირაკლი მაღლიანი

■ პრეზიდენტისა და მთავრობისთვის გამოყოფილი თანხა

ბიუჯეტის 1,4 პროცენტს შეადგენს და სამი უწყების: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და კულტურის სამინისტროების ბიუჯეტების ჯამია.

გამოიყო თანხა სიღნაღის რეკონსტრუქციისთვის და ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობისთვის.

თანხის ოდენობა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებისთვისაა გამოყოფილი, კანონიერია. კანონის თანახმად, ამ ფონდების მიერ განკარგული თანხა საერთო ბიუჯეტის 2 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

აზნაჩიუბა სხიჩიით აზნაჩაჯაუბაჯს

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, რომლის ძირითადი ფუნქციაა „სახსრების გამოყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები და სხვა გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება“, 2003-2006 წლებში სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები 4000 ლარით დაფინანსდა.

3 სექტემბერს ანაკლიაში, საპარლამენტო უმრავლესობასთან გამართულ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ქაშაბების შემოჭერა“ საქართველოს მომავალი წლის ბიუჯეტსაც უნდა დაეტყოს“.

2011 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, დეფიციტი 621 მილიონს შეადგენს.

როგორც ჩანს, „ქაშაბების შემოჭერის“ დეკლარირებული პოლიტიკა თავად პრეზიდენტს არ შეეხება.

იურისტების შეფასებით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სარეზერვო ფონდების დანიშნულება ბუნდოვანია, ხარჯვა – სამართლებრივად დაურეგულირებელი, კონტროლი კი – თითქმის გაუქმებული. კონტროლის ერთადერთ მექანიზმად საზოგადოებრივი მონიტორინგი რჩება. თუმცა ამისთვის, ინფორმაცია ფონდების ბიუჯეტის შესახებ, რომელიც საჯარო ინფორმაციაა, ჯერ მედიაში უნდა მოხვედეს. ■

ეკლესია და ნარკომანია

ჭაობიდან ეხდესიამდე

უკვე 3 წელია, მღვდელი გიორგი წეროძე ნარკოტიკზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრში შეკრებილ ნარკომანებს რწმენაზე ესაუბრება. რას სთავაზობს ეკლესია გამოჯანმრთელებაზე მეოცნებე ნარკომანებს ისეთს, რისი მიღებაც კლინიკაში მკურნალობის დროს შეუძლებელია?

მარიკა ქოჩიაშვილი



38 წლის მღვდელი ოთახის შუაგულში დგას. შვიდი ზრდასრული მამაკაცი წრეზე განლაგებულ სკამებზე ზის. რამდენიმე მათგანს მზის სათვალე უკეთია. „მოიხსენით, უხერხულია!“ – ისმის შენიშვნა ჩურჩულით და ისინიც მაშინვე ემორჩილებიან.

ორი მამაკაცი ხელში კრიალოსანს მარცვლავს. ერთ-ერთს ანეული შარვლის ტოტიდან უზარმაზარი სვირინგი – ხანჯალზე შემოხვეული გველი – უჩანს. მის გვერდით ახალგაზრდა ზის, გადაჭრილი შავი ხელთათმანითა და შავი ქუდით. მღვდელს თავჩაქინდრული უსმენს, პერიოდულად რეპლიკებს ისვრის და თან ხის ნაჭერზე ბოლნურ ჯვარს „ჩორკნის“.

მღვდელი კითხვებს მოთმინებით ისმენს და სახარების მაგალითებით პასუხობს. დამაჯერებლად ლაპარაკობს. პერიოდულად ტონსაც უწევს.

„სახარებაში წერია, მეძაგები შეგასწრებენ სასუფეველშიო. ეს იმიტომ, რომ ისინი მოწყურებული არიან სიკეთეს. მე, მღვდელმა, შეიძლება, ძალიან ბევრი ვილაპარაკო სიკეთეზე და მერე შეცდომა დაფუშვა. ჭეშმარიტი მორწმუნე

მუნე კი ის არის, ვისაც მუდმივად პულსზე აქვს ხელი და გრძნობს, რომ დაკარგა სიკეთის სიყვარული“.

უკვე 3 წელია, ყოველ ოთხშაბათს, მღვდელი გიორგი წეროძე ნარკოტიკზე დამოკიდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში მიდის და ერთი საათის განმავლობაში იქ შეკრებილებს რწმენაზე ესაუბრება.

მისი მსმენელები ყოფილი ნარკომანები არიან, ისინი, ვინც მეტადონის სახელმწიფო პროგრამაში მოხვდნენ. სასულიერო პირთან უკვე ტრადიციადქცეული შეხვედრები, მათთვის წარსულის გადაფასების და ახალი ცხოვრების დაწყების გეგმის ნაწილია.

„არასოდეს მიფიქრია, რომ ნარკომანი გავხდებოდი. ცნობისმოყვარეობამ დამძლია. ჩემი უბნელი ფულს აგროვებდა. დავდე. წამალი აიღეს. მეც გავიკეთე და წავიდა და წავიდა... არ გასულა დიდი დრო და მახარეს – უბანში ყველაზე ჩაშვებულ ნარკომანს გეძახიანო. მიჭერდნენ. სახლიდან წავედი. შეყვარებულმა ხელი დამიქნია. რამდენჯერმე კინალამ მოვკვდი... ერთ დღეს სარკეში ჩავიხედე და რაც

დავინახე, მაგრა გამიტყდა. ვთქვი – ღმერთო, რას დავემსგავსე, რა დღეში მყავს საყვარელი ხალხი. ორი კვირა „სუხოში“ ვეგდე. რომ არ მეყვირა, ქამარს ვლრღნიდი. მაგრა გამიჭირდა. სულ წამალზე ვფიქრობდი“ — ეს მოკლე, ანონიმური წერილი დერეფანში დაფაზეა გაკრული. წერილი ამ სარეაბილიტაციო ცენტრის თითქმის ყველა პაციენტის საერთო ისტორიას ჰყვება.

„თავიდან გგონია, რომ წამალზე დამოკიდებული არ გახდები. გგონია, რომ მხოლოდ ერთხელ ცდი და ამით მორჩები. მაგრამ მერე მეორედ იკეთებ, მესამედ და მერე უკვე ველარ ეშვები. ამიტომ, თავიდანვე უნდა თქვა უარი და არც პირველად გაიკეთო“, – ამბობს 41 წლის ზვიადი, რომელიც წელიწადზე მეტია, სარეაბილიტაციო ცენტრში დადის.

ის „ერთი დღე“, როცა სარკიდან მომზირალი გამოსახულება არ მოენონა, ზვიადისთვის რამდენჯერმე დადგა. წამლის „გადაგდება“ ორჯერ უკვე სცადა – ერთხელ 7 თვე, მეორედ მთელი ორი წელი გაძლო ნარკოტიკის გარე-



ნარკოტიკზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრი, 2010

ფოტო: ირაკლი ჯანაშია

■ მსმენელები ყოფილი ნარკომანები არიან, ისინი, ვინც მეტადონის სახელმწიფო პროგრამაში მოხვდნენ. სასულიერო პირთან უკვე ტრადიციადქცეული შეხვედრები, მათთვის წარსულის გადაფასების და ახალი ცხოვრების დაწყების გეგმის ნაწილია.

შე. თუმცა, საქმე ბოლომდე ვერც ერთხელ მიიყვანა. მამის გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებით რელიგიური გახდა. ახლა მას მხოლოდ ორი რამის სწამს – მეტადონის და ღმერთის.

„როცა ქრისტემ თავის მოწაფეებს ფეხები დაბანა, მათ ეს გაუკვირდათ. ქრისტე კი ეუბნება მათ – თქვენ შორის ვისაც უნდა პირველი იყოს, ყველას მსახური უნდა გახდეს. ეს იშვიათად ხდება. ასეთები ცოტანი არიან, ეკლესიაშიც კი“, – განაგრძობს ლექციას მამა გიორგი.

– ...ეგ კი არა, ნათლობის ჩატარება ეზარებათ... 10 წუთში ამთავრებენ ხოლმე. ამოკლებენ ლოცვებს, რომ დროზე დაამთავრონ. როგორ შეიძლება?!... – ისმის რეპლიკა.

– პურის გატეხა და ღვინის დაღევა რომ არ იყოს, ისე ვერ მოიხსენიებდ-

ნენ ღმერთს? ლოგიკა მაინტერესებს... – ამბობს მეორე.

ახალგაზრდა მღვდელი მათ მოთმინებით უსმენს და „ამშვიდებს“, რომ „კარგი“ მღვდლებიც არსებობენ, ვისაც კითხვებზე პასუხის გაცემა არ ეზარებათ.

ყველაზე დიდი ინტერესით მღვდელს 45 წლის ყოფილი ნარკომანი გურამი უსმენს. ის ეკლესიაში ხშირად დადის და 2 წელია, ნარკოტიკს აღარ გაჰკარებია. მისი თქმით, სწორედ ღმერთის რწმენა ეხმარება, რომ ისევე „ჭაობში“ არ დაბრუნდეს.

„ჭაობიდან“ ამოსვლა აქ შეკრებილი ადამიანებისთვის ყველაზე რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც შეიძლება, წლებიც კი გაგრძელდეს.

„მე არ ვიცი, სარწმუნოების იმპლანტირება შედეგს გამოიღებს თუ არა. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ თუკი ადა-

მიანი ღმერთს შეხვდება, ის კარდინალურად შეიცვლება. და თუ ეს მოხდა, ნარკომანია განკურნებადი. ვფიქრობ, ჩვენი საუბრები ხელს უწყობს იმას, რომ შეიქმნას გარემო, სადაც ადამიანი შეიძლება ღმერთს შეხვდეს“, – ამბობს მღვდელი გიორგი.

ნარკომანია, როგორც „განკურნებადი“ სენი ეკლესიის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ რამდენიმე წლის წინ მოექცა.

„ნარკომანია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მან დღეს ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მოიცვა. ზოგიერთს იგი არასწორი ყოფის გამოვლინებად მიაჩნია, თვით ნარკომანები კი, მას ლამის ვაჟკაცობად მიიჩნევენ. სინამდვილეში ეს არის ლაჩრობა, ეს არის სირცხვილი, ეს არის შიში რეალობისადმი. ... მე მესმის,

რომ ეს მძიმე სენია და ადვილი არაა მისგან თავის დაღწევა, ამიტომაც თანავუგრძნობ მათ, მაგრამ მართო ეს არ კმარა. ხელისუფლებამ, მეც და ჩვენმა ეკლესიამაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ, ერთი მხრივ, შევიმუშაოთ სერიოზული პრევენციული ზომები, რომ ამ საშინელ ურჩხულს გამოვგლიჯოთ ჩვენი შვილები“, – ეს ამონარიდია პატრიარქის 2006 წლის საშობაო ეპისტოლედან, რომელიც წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართვაა მართლმადიდებელი მრევლისადმი.

2005 წელს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თაბორის მთაზე, ფერისცვალების მამათა მონასტერში, ნარკოტიკზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო

ცენტრი შეიქმნა. მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბართლომე ამბობს, რომ 5 წლის განმავლობაში მონასტერში სამკურნალოდ მისულთა რაოდენობა შესაძლოა 3000-ზე მეტიც კი იყოს. მონასტერში იციან, რომ განკურნება ამ ადამიანთა მხოლოდ 5-6-მა პროცენტმა მოახერხა, თუმცა ამ შედეგითაც კმაყოფილი არიან.

„ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ადამიანი, რომელიც ჩვენთან მოდის, პირველ რიგში, უნდა აღიარებდეს, რომ ავადმყოფია. ამის გარეშე განკურნება შეუძლებელია. ჩვენ მათ მონასტერში 3-დან 6 თვემდე ვტოვებთ. ზოგიერთი მეტ ხანსაც რჩება. აქ ცხოვრობენ, წირვას და ლოცვას ესწრებიან. რაც მთავარია, საქმეში

არიან ჩართულები. მათთვის შრომითი თერაპია აუცილებელზე აუცილებელია. ერთხელ ტრენინგზე მითხრეს, თუ ნარკომანს ხელი თავისუფალი აქვს, ის წამალზე ფიქრობს და წამალს ეძებსო. ამიტომ ეს ადამიანები მუდმივად დაკავებულები უნდა იყვნენ“, – ამბობს არქიმანდრიტი ბართლომე.

28 წლის შოთა მარტყოფში, ღვთაების მონასტერში, მეგობრის რჩევით მივიდა. მეგობარი უკვე გამოჯანმრთელდა. შოთა კი ჯერ მხოლოდ 2 თვეა, მონასტერში ცხოვრობს და გამოჯანმრთელებაზე ოცნებობს.

პირველ დღეებს, როგორც კომმარს, ისე იხსენებს. ოფლში იწურებოდა, აუტანელი ტკივილები ჰქონდა, მუდმივად „წამალზე“ ფიქრობდა. თუმცა, ამბობს, რომ მონასტრის წინამძღოლის, ბენიამინის ლოცვით და მონასტრის მორჩილების დახმარებით, ტკივილს მოერია და დარჩა. ახლა უკვე დარწმუნებულია, რომ წამალს აღარასდროს გაეკარება. წარსული „მოკლა“ და მხოლოდ მომავალზე ფიქრობს.

„აქ პირველად დამაფიქრეს ჩემს ცოდვებზე, საშინელი სინანული ვიგრძენი. ისე ჩავიძირე ამ განცდაში, რომ ლომკის ტკივილი საერთოდ დამავიწყდა“, – ამბობს შოთა.

ნინა კვირას, ორგანიზაცია IRI-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, ეკლესიას მოსახლეობის 91 პროცენტი უცხადებს ნდობას (შედარებისთვის, განათლების სისტემას მხოლოდ 52 პროცენტი ენდობა). სწორედ ამიტომ, ეკლესიის როლი ნარკომანიასთან ბრძოლაში დღეს შეიძლება, შეუცვლელიც იყოს.

28 წლის შოთასთვისაც ეკლესია ახლა ერთადერთი თავშესაფარია.

„მჯერა, რომ თუ ადამიანი საკუთარ თავში იპოვის ძალას, ყველაფერს შეძლებს. ძალას კი მხოლოდ აქ, მონასტერში იპოვის. ვერანაირ კლინიკაში მკურნალობა ვერ უშველის. ერთადერთი გამოსავალი რწმენაა“. □

■ „მეც და ჩვენმა ეკლესიამაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ საშინელ ურჩხულს გამოვგლიჯოთ ჩვენი შვილები“ – საქართველოს პატრიარქი ილია II.



ნარკოტიკზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრი, 2010



ზემელი, თბილისი, მე-20 საუკუნის დასაწყისი

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ტრანსპორტი ბუნდება

თბილისში ელექტრომავალი კვლავ გამოჩნდება, თუმცა, მხოლოდ გარეუბნებში და მხოლოდ 3 წლის შემდეგ.

ნინო გოგუა

მარგარიტა ნაროუშვილი ყვითელი ავტობუსის ერთადერთი ქალი მძღოლია. უკვე მეოთხე წელია, ავტობუსი №25 დიღმიდან რკინიგზის სადგურამდე დღეში საშუალოდ 10-ჯერ მიმოჰყავს.

მარგარიტას მუდმივი მგზავრები კარგად იცნობენ და გზად გულახდილად ეწუწუნებიან იმაზე, თუ როგორი აუტანელია ავტობუსით მგზავრობა,

რომ პიკის საათებში ეს ტრანსპორტი მგზავრებს აშკარად ვერ იტევს და ისეთი საშინელი ხმა და სუნი აქვს, რომ რამდენიმეწუთიანი მგზავრობაც კი აუტანელი ხდება. მგზავრების უმეტესობა ამბობს, რომ ამ ჰოლანდიურ, უკვე ვადაგასულ ავტობუსს, ათასჯერ ჯობდა ტრამვაი.

მარგარიტამ ზუსტად იცის, რას გულისხმობს მისი მგზავრი – 20 წელ-

ზე მეტხანს ის ვატმანად მუშაობდა.

„ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო, ეკონომიური, კომფორტული“ – ასე აღწერს მარგარიტა ტრამვაის – „თუ აღადგენდნენ, ხალხისთვის დიდი შვება იქნებოდა, დიდი სიამოვნებით ვიქნები ისევ ვატმანი, მაგრამ მაგას იმდენი ფული უნდა, რომ არა მგონია, დააბრუნონ“.

ფული, რომელიც თბილისში ტრა-



თბილისში პირველი ტრამვაი 1904 წელს გამოჩნდა. მისი მარშრუტი ახლანდელი ისანი-სამგორის ტერიტორიით შემოიფარგლებოდა.

ტრამვაის უპრობლემობა

- ▶ მაღალი მგზავრგამტარიანობა
- ▶ ეკონომიურობა
- ▶ უსაფრთხოება
- ▶ უნარშეზღუდულებისთვის საჭირო ასასვლელი
- ▶ გზის ფართის გამოყენების 8-ჯერ მეტი ეფექტურობა ავტომობილთან შედარებით.
- ▶ განცალკევებული ზოლის მეშვეობით საცობების გვერდის ავლის შესაძლებლობა
- ▶ ეკოლოგიურობა – მერების კონვენციის თანახმად 2020 წლამდე თბილისში CO₂-ის ემისია 20%-ით უნდა შემცირდეს
- ▶ მოკლე ინტერვალები გაჩერებებს შორის
- ▶ ვაგონების რაოდენობის შეცვლის შესაძლებლობა

მეგობრული ადგილისთვისაა საჭირო, უკვე მოიძებნა. აზიის განვითარების ფონდი მზადაა, საქართველოში ურბანული ტრანსპორტის განვითარების მიზნით, 1,1 მილიარდი დოლარი გაიღოს. ოფიციალური მონაცემებით, ამ თანხიდან 400 მილიონი უკვე დახარჯულია გზების რეაბილიტაციაზე. დანარჩენი თანხა 2018 წლისთვის თბილისში თანამედროვე ტრამვაის ხაზის აწყობას მოხმარდება. მშენებლობა გარეუბნებიდან დაიწყება, სადაც შედარებით ფართო ქუჩებია. 40 კილომეტრიანი მარშრუტი ასეთი იქნება – ტრამვაი დიდი დილმიდან ვარკეთილის მიმართულებით ივლის, გზად ნაძალადევის რაიონს, გურამიშვილის გამზირს, ცოტნე დადიანის ქუჩას, რკინიგზის ტერიტორიას გაივლის და

კახეთის გზატკეცილზე გავა. „დღეს ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად ქაოტური საგზაო მოძრაობა და არაადეკვატურად ძვირი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ჩატარდება სპეციალური კვლევა, რომელიც თბილისში საგზაო მოძრაობას შეისწავლის, რომ გავიგოთ – რა პრობლემები და ტენდენციებია, რა მოდელი იქნება თბილისისთვის ყველაზე რენტაბელური, რამდენი ვაგონის ყიდვა და რამდენი კილომეტრი ლიანდაგის დაგება მოგვინევს“, – ამბობს თბილისის მერიის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი აკაკი ჯოხაძე. მისი თქმით, კვლევას საფრანგეთის მთავრობა დააფინანსებს. დაახლოებით ერთ წელში კი სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყება.



გაფუჭდა და დაიღუნა ლიანდაგები, რაც 2006 წელს თბილისში უკანასკნელი ტრამვაის ხაზის გაუქმების საბაბი გახდა.



ტრანსლორის მოსახერხებელი, კომფორტული, ვიწრო ვაგონები ჯერ მხოლოდ მსოფლიოს 6 ქალაქში დადის.

ინოვაციური ტრანსლორი ერთ-ერთია იმ ვარიანტთანაგან, რომელსაც მერია განიხილავს. არ არის გამორიცხული, 2 წლის შემდეგ არჩევანი რომელიმე უფრო იაფ ტრანსპორტზე შეჩერდეს, მაგალითად: თანამედროვე, ორლიანდაგიან ტრამვაიზე. თუმცა, ის, რომ 2013-დან დიდი დიდი დიდი ვარკეთილის მიმართულებით ელექტრომავალი ივლის, უკვე გადაწყვეტილია.

ელექტრომავალი ტრანსპორტი სავაჟის მომხმარებელ ტრანსპორტზე ბევრად იაფი შესანახია. საქართველოში ერთ ყვითელ ავტობუსს დღეში საშუალოდ 1000–1200 ლარის ღირებულების დიზელი სჭირდება. ამავე მარშრუტზე რომ რამდენიმევაგონიანი, გაცილებით მეტი ტევადობის ტრამვაი დადიოდეს, ის დღეში დაახლოებით 300-350 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას მოიხმარს.

მერიის ამოცანა ახლა ტრამვაის სწორი მოდელის შერჩევაა, მისი ტევადობის, ელექტროენერგიის მოხმარების ოდენობის და ვაგონის ფასის მიხედვით.

ერთ-ერთი ვარიანტი ფრანგული ინოვაციური მოდელი – ტრანსლორია.

ტრანსლორის, ანუ საბურავებიანი ტრამვაის მოსახერხებელი, კომფორტული, ვიწრო ვაგონები ჯერ მხოლოდ მსოფლიოს 6 ქალაქში დადის. ის ელექტროენერგიას მოიხმარს, თუმცა სხვა მოდელისგან განსხვავებით, ორის ნაცვლად ერთხაზიანი ლიანდაგი სჭირდება. მისი მარშრუტი სწორედ ამ ლიანდაგითაა განსაზღვრული.

ტრანსლორის შემქმნელი ფრანგული კომპანია „სისტრა“ მსოფლიოში ტრამვაის სისტემების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ინოვაციური კომპანიაა.

ყვითელი გაცვეთილი ავტობუსების შემდეგ კომფორტულ სკამებიანი, ხალვათი ვაგონები, ცივი და ცხელი ჰაერის კონდიციონერით, მართლაც სანატრელი საზოგადოებრივი ტრანსპორტია. თუმცა თანხა, რისი გადახდაც ტრამვაის ამ ქსელის ასაშენებლად უნდა გავიღოთ, ასევე შთამბეჭდავია.

მაგალითისთვის, 2011 წელს პარიზში სან დენის მიდამოებში 7-კილომეტრიანი ლიანდაგი დაიგება, სადაც 30-მეტრიანი ტრანსლორი 18 კმ/სთ სიჩქარით ივლის. ის დღეში 30 000 ადამიანს მოემსახურება. საფრანგეთის მთავრობას ამ მარშრუტის ერთი კილომეტრი 33 მილიონი ევრო დაუჯდება.

ასევე, თუ ორვაგონიანი ტრამვაი 600 000-დან 1 მილიონ ევრომდე ღირს, ტრანსლორის ამავე შემადგენლობაში ქალაქის მთავრობამ 2.2 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს.

მართალია, თბილისის ტრანსლორისთვის ვაგონების შექმნის და ლიანდაგის დაგების პირველ ხარჯებს აზიის განვითარების ფონდი გაიღებს, მაგრამ მისი შემდგომი მუშაობისთვის მნიშვნელოვანი თანხის გაღება დედაქალაქელებს მოუწევთ, ქალაქის ბიუჯეტიდან. იმისთვის, რომ საბურავებიანი ტრამვაიმ შეუფერხებლად იმუშაოს, აუცილებელია, მისი საბურავები იდეალურად გლუვ ბეტონის საფარზე განთავსდეს. ასეთი საფარი საქართველოში, ჯერჯერობით, მხოლოდ ახლად დაგებულ ცენტრალურ მაგისტრალზეა. ტრამვაის მარშრუტის საფარი რომც შეიცვალოს, საჭიროა მისი მუდმივად კონტროლი და შეკეთება, რათა ბეტონის ზედაპირმა ფორმა ოდნავაც არ შეიცვალოს და ტრანსპორტი ლიანდაგიდან არ ამოვარდეს.

„რა მოხდება, თუ სისტრა ოდესმე გაკოტრდა? ის ტრანსლორის ერთადერთი მწარმოებელია. მერე იქნება, ისევ ლიანდაგის აყრა და სხვა, უფრო იაფ მოდელზე გადასვლა გახდება საჭირო,“ – ამბობს ტრამვაის დაბრუნების მომხრეთა საინიციატივო ჯგუფის წევრი ბექა ნინიკური.

შესაკებელი ნაწილების დეფიციტი ერთხელ უკვე გახდა თბილისში ტრამვაის გაუქმების მიზეზი.

თბილისში პირველი ტრამვაი 1904 წელს გამოჩნდა. მისი მარშრუტი ახლანდელი ისანი-სამგორის ტერიტორიით შემოიფარგლებოდა. 60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქში ტრამვაის ერთი და იგივე მოდელი მოძრაობდა. კავშირის დაშლის შემდეგ, მისი ნაწილების შოვნა შეუძლებელი გახდა. 1990-იანი წლების არეულობის და უშუქობის გამო, ელექტროენერჯის მოლოდინში ცარიელი ვაგონები საათობით იდგა ქუჩაში და იძარცვებოდა. ერთი პერიოდი ვატმანებს მილიციაც კი დაჰყვებოდა მუშაობის დროს, რომ ვაგონში ამოსულ მგზავრს მესაჭე არ გაექურდა.

გაფუჭდა და დაიღუნა ლიანდაგებიც, რაც საბოლოოდ, 2006 წელს თბილისში უკანასკნელი ტრამვაის ხაზის – ავჭალის რეისის – გაუქმების საბაბი გახდა.

„იმ არეულობისას ტრამვაისთვის არავის ეცალა. არადა, მთელს ქალაქში დადიოდა. ყოველთვის უამრავი მგზავრი გვყავდა. ხალხს ახლაც აქვს მისი ნოსტალგია, რადგან უბრალოდ უყვარდა ტრამვაი“, – ამბობს ყოფილი ვატმანი, მარგარიტა ნაროუშვილი.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა, თუ რომელ ტრანსპორტს ანიჭებს უპირატესობას თბილისის მოსახლეობა, ჯერ არ ჩატარებულა. ინოვაციური ტრანსპორტი ერთ-ერთია იმ ვარიანტთანაგან, რომელსაც მერია განიხილავს. არ არის გამორიცხული, 2 წლის შემდეგ არჩევანი ძვირადღირებული ფრანგული მოდელის ნაცვლად, რომელიმე უფრო იაფ ტრანსპორტზე შეჩერდეს, მაგალითად: თანამედროვე, ტრადიციული ტიპის, ორლიანდაგიან ტრამვაიზე. თუმცა, ის, რომ 2013-დან დიდი დილმიდან ვარკეთილის მიმართულებით ყვითელ ავტობუსებთან ერთად ელექტრომავალიც ივლის, უკვე გადანყვებილია. **■**


**თბილისის ტრამვაის
ფოტო-ისტორია იხილეთ
www.liberali.ge-ზე**

ფუცი და ყვიჩილი: ახრევნები ამახიხაში



წინასაარჩევნო გამოკითხვის მიხედვით, სენატი „დემოკრატების“ დარჩება, წარმომადგენლობითი პალატა კი „რესპუბლიკელების“ ხელში გადავა.

მარკ მალენი



არჩევნები ამერიკაში სამშაბათს, 2 ნოემბერს ტარდება. პრეზიდენტ ობამას არ გადაირჩევენ, მაგრამ სენატის ერთი მესამედი და წარმომადგენლობითი პალატის მთლიანი შემადგენლობა არჩევნებისთვის ემზადება. ასევე, არჩევნები შეეხება ათასობით ადგილობრივ თანამდებობას – გუბერნატორებს, მერებს, შტატის და ადგილობრივ საკრებულოებს და ზოგიერთ შემთხვევაში – მოსამართლეებსაც.

გეტყვი, თუ რა არის ამ პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.

ამერიკაში არჩევნების შედეგს სამი რამ განსაზღვრავს: ვინ აძლევს ხმას, რამდენი ფული აქვთ კანდიდატებს, და როგორ აძლევენ ხმას ამომრჩევლები. კონგრესის უზნების საზღვრები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს წყვეტს, თუ ვინ მონაწილეობს ხმის მიცემაში. საზღვრები თითოეულ შტატში ყოველ 10 წელიწადში ერთხელ იცვლება. მოსახლეობის წელს ჩატარებულ აღწერაზე დაყრდნობით, საარჩევნო უბნების საზღვრები ხელახლა მომავალ ორ წელიწადში დაიხაზება. ზოგიერთი შტატი

კონგრესში დამატებით ადგილს მიიღებს, ზოგი კი პირიქით, მოსახლეობის როდენობის ცვლილებასთან ერთად, დაკარგავს. მნიშვნელოვანი, როგორც გითხარით, ის არის, თუ როგორ შეიცვლება უზენების საზღვრები. თითოეული პარტია ეცდება, რომ თავისი კანდიდატების უმრავლესობამ პოსტები შეინარჩუნოს. ეს რთული და თითქმის გასაიდუმლოებული პროცესია, რომელსაც ორივე პარტია ბოროტად იყენებს ხოლმე. ზოგიერთ შტატში, მაგალითად, ფლორიდაში, სპეციალური რეფერენდუმი ტარდება იმისთვის, რომ საარჩევნო უზენების „მოხაზვა“ უფრო ღია და სამართლიანი პროცესი გახდეს. უზენების ასე დაყოფამ, წესით საარჩევნო კონკურენცია უნდა გააუმჯობესოს.

წინასაარჩევნო კამპანიაში წელს გაცილებით დიდი ფული ტრიალებს, რაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (5 – 4-ის წინააღმდეგ) დამსახურებაა. „რესპუბლიკელების“ მიერ დანიშნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კორპორაცია ცივი ინდივიდია, ამიტომ საარჩევნო კამპანიისთვის ფულადი შემოწირულობის გაღება შეუძლია. ამერიკის კონსტიტუცია იცავს სიტყვის თავისუფლებას და მრავალი წლის განმავლობაში, ითვლებოდა, რომ სასურველი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისთვის ფულის გაღება სწორედ გამომხატვის თავისუფლების ნაწილია. პირველად ისტორიაში, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ კორპორაციებს და ორგანიზაციებს, ისევე, როგორც მოქალაქეებს, აქვთ უფლება დააფინანსონ წინასაარჩევნო კამპანიები. ამან, ამომრჩევლების გავლენის შემცირების ხარჯზე, ცალკეულ ინტერესთა ჯგუფების გავლენა გაზარდა.

„დემოკრატებმა“ და პრეზიდენტმა ობამამ, წინა ადმინისტრაციასთან შედარებით, უამრავი კანონი მიიღეს. ამჟამად პრეზიდენტის პოსტი და კონგრესის ორივე პალატის უმრავლესობა „დემოკრატების“ ხელშია. თითქმის

ყველა წინასაარჩევნო გამოკითხვის მიხედვით, სენატი „დემოკრატების“ უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი, ხოლო წარმომადგენლობითი პალატა „რესპუბლიკელების“ ხელში გადავა. „რესპუბლიკური პარტიის“ მთავარი პრიორიტეტი ახლა, საკუთარი პოლიტიკის და ინიციატივების გატარების ნაცვლად, ყველა იმ ინიციატივის წინააღმდეგ ბრძოლაა, რაც კი პრეზიდენტ ობამას და „დემოკრატებს“ ეკუთვნის. თუ „რესპუბლიკელები“ წარმომადგენლობით პალატას გააკონტროლებენ, „დემოკრატები“ მომავალში ნაკლები კანონის გატანას შეძლებენ, რადგან „რესპუბლიკელები“ ყველაფერს ავტომატურად შეენინააღმდეგებიან. თუ ასე მოხდება, ობამა, ალბათ, უფრო მეტ დროს

„რესპუბლიკური პარტიის“ მთავარი პრიორიტეტი საკუთარი პოლიტიკის გატარების ნაცვლად, ყველა იმ ინიციატივის წინააღმდეგ ბრძოლაა, რაც კი პრეზიდენტ ობამას ეკუთვნის. თუ „რესპუბლიკელები“ წარმომადგენლობით პალატას გააკონტროლებენ, „დემოკრატები“ მომავალში ნაკლები კანონის გატანას შეძლებენ.

საგარეო პოლიტიკას დაუთმობს. ასე მოხდა ბილ კლინტონის შემთხვევაში, როდესაც კონგრესი, მისი არჩევადან ორი წლის შემდეგ, „რესპუბლიკელების“ ხელში გადავიდა.

თუ ობამა მართლაც „გამოთავისუფლდა“ და საგარეო პოლიტიკის მეტი ყურადღება დაუთმო, ეს მთელი მსოფლიოსთვის, ამერიკისთვის და საქართველოსთვისაც კარგი იქნება. ბუშის ადმინისტრაციის დანატოვარის გამოსწორება ადვილი არ იყო. გასაგები მიზეზების გამო, საგარეო პოლიტიკაში აქცენტი ავღანეთზე, ერაყსა და ირანზე კეთდებოდა. ყველა დანარჩენი

მეორეხარისხოვანი იყო. პრიორიტეტული რეგიონების შემდეგ რიგში ჩინეთი და აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნები იდგა. ევროპა, რუსეთი, თურქეთი და ჩვენი რეგიონი პრიორიტეტების სიაში ჩამოქვეითდნენ. აშშ-ს მიერ საგარეო პოლიტიკაზე აქცენტის გამახვილება საქართველოს ინტერესებშია. ბუშის ადმინისტრაციის აგრესიულმა პოლიტიკამ რუსეთის წინააღმდეგ ვერაფერი შედეგი გამოიღო. არც ობამას „გადატვირთვის“ პოლიტიკა აღმოჩნდა პროდუქტიული. დაქსაქსულმა ევროპამ, როგორც წესი, არასდროს იცის, საით წავიდეს. ობამას მიერ ევროპასთან თანამშრომლობის გაღრმავება ევროპის ერთიანობას შეუწყობს ხელს. ერთიანი ევროპა კი რუსეთთან მიმართებაში გაცილებით თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას შეძლებს. თუმცა აქამდე დიდი გზაა გასავლელი.

ახლა ძალიან ცოტა ამერიკელი ამომრჩეველი ფიქრობს საგარეო პოლიტიკაზე და ვინც ფიქრობს, მასაც ძირითადად ამერიკელი ჯარისკაცების ბედი ალელვებს. წინასაარჩევნოდ ყველა მხარე პოლიტიკური მანიპულაციებითაა დაკავებული. „რესპუბლიკელები“ ამბობენ, რომ ობამა სოციალისტია, რადგან ჯანდაცვის კანონი და ეკონომიკური სტიმულის აქტი მიიღო (რომელიც სინამდვილეში ბუშის დანყებულია).

რეალურად, სტიმულის აქტის გარეშე, ამერიკა ეკონომიკური დეპრესიისთვის იყო განწირული. ამ კამპანიის განმავლობაში „რესპუბლიკელები“ ბევრს ყვირიან. ყვირილი და შიშის გავრცელება ცნობილი პოლიტიკური ტაქტიკაა. მოკლე ვადაში, ამან შესაძლოა იმუშაოს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი საშიში შედეგით დასრულდება. ეს საქართველოში უკვე კარგად იცანა.

ვენახოთ, რა მოხდება ოთხშაბათს დილით ამერიკაში. **■**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაია.

ინტერნეტი, ხობოხს სანსავლო სივსა



ძალიან მალე სოციალური მედია ტრადიციული სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი დანამატი გახდება. ამ სრულიად შეცვლილ გარემოში მასწავლებელი მოსწავლის მხარდამჭერი, მრჩეველი, ინფორმაციის შემქმნელი უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი როლი იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე დღესაა.

სიკო გვანთია

განათლების მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გარემო, რომელშიც ჩვენ აქტიურად ვმსჯელობთ, იდეებსა და შეხედულებებს ვცვლით, განსაკუთრებულად ეფექტურია სწავლის პროცესში. ასეთი გარემოს განვითარება, საზოგადოებრივი, ბიუროკრატიული თუ ეკონომიკური მიზეზების გამო, სკოლებში ნელა მიმდინარეობს. სამაგიეროდ, ამ გარემოს ფუნქციას სწრაფად ითავსებს თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ კი, სოციალური მედიის სწრაფი და მასშტაბური განვითარება.

სოციალურია ის მედია, რომელიც იდეებისა და ცოდნის შექმნისა და გავრცელებისთვის თანამშრომლობით ხერხებს იყენებს. ეს, ძირითადად, ინტერნეტ-სერვისებს ეყრდნობა. ადამიანები მასობრივად ქმნიან საკუთარ ვებგვერდებს, აქვეყნებენ მოსაზრებებს, უზიარებენ სხვებს გამოცდილებას, ცვლიან ფოტოებს, ვიდეოებს, აუდიო ჩანაწერებს, ერთობლივად ქმნიან ვირტუალურ ასოციაციებს, კლუბებს, ბიბლიოთეკებს, ენციკლოპედიებს, სახელმძღვანელოებს და სასწავლო საიტებს.

ევროსაბჭოს მთავარი სტატისტიკური ვებგვერდის, Eurostat-ის მონაცემებით, 2009 წელს ევროპის მოსახლეობის 31 პროცენტი იყენებდა ინტერნეტს იმ ინფორმაციის მოსაძიებლად, რომელიც სასწავლო პროცესში სჭირდებოდა. ეს კი წინა წელთან 8 პროცენტისა იყო. ბოლო წლებში სოციალური მედიის გამოყენების მაჩვენებელი საქართველოშიც მკვეთრად კარგი იქნება, თუ გვეცოდინება, ზოგადად, რა უპირატესობები აქვს ინტერნეტს ტრადიციულ სასწავლო გარემოსთან შედარებით. ასევე საინტერესოა, ვნახოთ, თუ რა აუცილებელ გარემოს უქმნის სოციალური მედია ადამიანს სწავლის პროცესში.

ადამიანები ერთმანეთთან ინტერაქტიუ-

ლი ურთიერთობით მეტს სწავლობენ, ვიდრე საგნებთან შეხებით. მართალია, ტექსტი, აუდიო ან ვიზუალური ინფორმაცია ადამიანების მიერ იდეების გაცვლის საშუალებაა, მაგრამ თუ ეს ინფორმაცია ჩვენამდე ავტორთან ან სწავლის პროცესის თანამონაწილესთან ურთიერთობის გარეშე მოდის, მაშინ მისი აღქმა იზღუდება. სწავლა განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც სხვებს ვუზიარებთ ჩვენს განცდებსა და მოსაზრებებს, სხვები კი იმგვარად რეაგირებენ, რაც ჩვენი წარმოსახვის გაღვივებას, საკუთარი იდეების შემოწმებასა და განვითარებას ხელს უწყობს.

იმისთვის, რომ ადამიანს სწავლის სურვილი გაუჩნდეს, არა მხოლოდ ჯილდოები, კონკურსში გამარჯვება, გამოცდების ბარიერის დაძლევა ან კარგი კარიერის პერსპექტივაა მთავარი. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თავად სწავლის პროცესში ვიღებდეთ სიამოვნებას.

სწავლისას ადამიანი მნიშვნელოვნად ეყრდნობა იმ ცოდნას და სააზროვნო სქემებს, რაც საკითხის შესწავლამდე აქვს ჩამოყალიბებული. შესასწავლი საკითხი უშუალო კავშირშია მის წარსულ გამოცდილებასთან, ემოციურ განწყობებსა და მისწრაფებებთან. თითოეული ჩვენგანის გამოცდილება უნიკალურია და აქედან გამომდინარე, განსხვავებულია ჩვენი საჭიროებები, სურვილები და მიდგომებიც. ეს კი სასწავლო გარემოს ინდივიდუალიზაციას კრიტიკულად მნიშვნელოვანს ხდის.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო იყოს. მოსწავლე კლასის წინაშე საკუთარი აზრის გამოთქმისთვის უნდა ნახა საფასი. მან ამისთვის სხვებისგან აღიარება და სარგებლო რჩევები უნდა მიიღოს, დასჯის,

არასასურველი ნიშნის ან დაცინვის ნაცვლად.

ახლა კი ვნახოთ, როგორია სინამდვილეში ის ფორმალური გარემო, რომელშიც ჩვენ ვიღებთ დღეს განათლებას. საბავშვო ბაღში ყოფნა უფრო მეტად გვიხარია და ნაკლებად გვეშინია რაიმეს კეთება, გართობა, ურთიერთობა და სწავლაც კი. სკოლაში შედარებით იკლებს თანამშრომლობა, ინტერაქცია, პერსონალიზაცია. საკლასო ოთახში გადანაცვლების შემდეგ თვითონ სწავლის პროცესის მიმართ ინტერესი ნელდება და წინა პლანზე სწავლის შედეგებით დაინტერესება გადმოდის.

ათწლეულების განმავლობაში სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი რჩებოდა ჩვენი ზოგადი ან პროფესიული ცოდნის ძირითად წყაროდ. ეს ინსტიტუტები იყო ადგილი, სადაც გვეგულბოდა ექსპერტული ცოდნის მატარებელი ადამიანები, სადაც იყო სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკები და გარემო, რომელშიც ჩვენი ინტერესების დაკმაყოფილებას, ავად თუ კარგად, ცდილობდნენ. დღეს ამ გარემოს მთავარი კონკურენტი სოციალური მედია გახდა.

კერძო ვირტუალური სკოლები ინტერნეტში უკვე რამდენიმე წელია, რაც გამოჩნდა. ეს სკოლები ნელ-ნელა პოპულარული ხდება. მაგალითად, ფლორიდის ვირტუალურ სკოლას 100 000-მდე მოსწავლე ჰყავს, რომლებიც სახლიდან გაუსვლელად, საკუთარი საჭიროებებისა და სასწავლო ინტერესების დაკმაყოფილებას მათთვის კომფორტულ გარემოში ახერხებენ.

თუ პოპულარულ youtube.com-ზე პითაგორას თეორემას მოძებნით, მხოლოდ ერთ ენაზე 1200 ვიდეოკლიპს ნახავთ. ყველაზე პოპულარული მათ შორის 150 000-ჯერ არის ნანახი. ეს კი იმაზე მეტია, ვიდრე ქართველი მოსწავლეების რაოდენ-



ნობა, რომლებიც დღემდე იყენებენ სახელმძღვანელოებს, მსგავსი ინფორმაციის მისაღებად.

სოციალური მედიის მომხმარებელი საქართველოში ნახევარ მილიონამდე ადამიანია. ქართულად მოხალისეების მიერ Wikipedia-ში უკვე 43 000-ზე მეტი სტატიაა შეტანილი. ეს უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ცოდნის მიღებისა და გაცვლის პროცესი ჩვენთანაც იწყებს ცვლილებას. ინფორმაციის მრავალფეროვნების, მოცულობის ზრდა და განახლება ქართულ ვებგვერდებზე მუდმივად ხდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გეგმის მიხედვით, 2012 წლისთვის საქართველოში უფრო მეტ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს პერსონალური კომპიუტერი, ვიდრე მასწავლებლების ჯამური რაოდენობაა. როდესაც

გაკვეთილებზე დაიწყება ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენება, რადიკალურად შეიცვლება საკლასო კლიმატი. მოსწავლეები უსწრაფესად შეძლებენ მასწავლებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამონმებას, შევსებას და საკუთარი იდეების გავრცელებას. ინტერნეტში ისინი გაცვლიან ინფორმაციას სხვა თანატოლებთან და სხვა ასაკის ადამიანებთან ისე, რომ მათი ინტერესებისა და ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეძლებენ. ისინი ადვილად იპოვიან მათი მიდრეკილებების გასაფართოებლად საჭირო მასალას სასურველ ფორმატში. ზოგს ტექსტის, ზოგს კი ვიდეო ან აუდიო ფორმატში მოცემული ინფორმაცია მიიზიდავს.

ინტერნეტს შესაძლებლობების ზრდასთან ერთად პრობლემებიც მოაქვს. სულ

უფრო მნიშვნელოვანი ხდება მოზარდებისთვის იმის სწავლება, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი კიბერ-მოძალადეებისგან. ფართო საკომუნიკაციო დიაპაზონი შესაძლებლობას აძლევს აბეზარ თანატოლებს, რომ სახლშიც შეაწუხონ და დათრგუნონ ისინი.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ სოციალური მედიის გამოყენება ჩვენთან ერთბაშად ჩაანაცვლებს ტრადიციულ სასწავლო პროცესს. თავდაპირველად ის უფრო დანამატი გახდება. თუმცა ეს საგანმანათლებლო გარემოს მნიშვნელოვან ცვლილებას გამოიწვევს. მასწავლებელი ასეთ გარემოში აუცილებლად უნდა გარდაიქმნას მოსწავლის მხარდამჭერად, მრჩეველად, ინფორმაციის შემქმნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი როლი სწავლებაში იმაზე გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე დღესაა. ¹⁴

ჰიოფუსია - ჟუხნაციუსი



ქართველი „ჟურნალისტის“ ფიქრები თავისუფალი მედიის ქვეყანაში.

ნინია კაკაბაძე



მასმედიის მუზეუმი ვაშინგტონში – NEWSEUM

ის-ის იყო, ნანა ლეჟავამ გვამცნო სიმართლე საქართველოში ჩამოსული ინგლისურის მასწავლებლების შესახებ – „სექსუალურ“ ბლოგებს წერენ ინგლისურის პედაგოგებიო – და ინგლისურენოვან ამერიკაშიც წამოვედი.

წამოსვლამდე ვფიქრობდი, რომ ამ ტექსტს „კვირის რეპორტაჟში“ გასულ სიუჟეტს მიუძღვნოდა, რომლის მთავარი გზავნილი ის იყო, რომ ამერიკელები სექსით ინტერესდებიან. მაგრამ აქ ჩამოსვლისთანავე სხვა ფიქრებმა წამილო

და გადამაფიქრდა შავკანიანი და „სექსუალური“ ინგლისურის მასწავლებლები.

NEWSEUM

ვაშინგტონში ჩამოსვლის პირველსავე დღეს ე.წ. მედიის მუზეუმში წაგიყვანეს და შეგვასწავლეს ამერიკული ჟურნალისტიკის საფუძვლები – წარსული, აწმყო და მომავალი. დიახ, მომავალიც, რადგან მათ წინასწარ იციან, რომ მომავალი – სოციალური მედიაა. ეს სულაც არ გულისხმობს, რომ ტელე-რადიო თუ

ბეჭდური მედია გაქრება, მაგრამ მომავალი რომ სოციალური ქსელების არის, ეს ყველამ იცის.

NEWSEUM-ის შენობა ძალიან ლამაზია და მისი შიდა არქიტექტურა ოდნავ პარიზის პომპიდუს ცენტრს ჰგავს. შიგნით სხვადასხვა პავილიონია, სადაც ფოტო და ტელე მასალის მეშვეობით ნაჩვენებია, როგორ აშუქებდა ამერიკული მედია სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენას, ელვის პრესლის სიკვდილით დაწყებული, 11 სექტემბრით დამთა-

ვრებული, ქარბორბალა „კატრინა“ და ა.შ.

ბუნებრივია, ასეთი ტიპის და, პრინციპში, არც ერთი ტიპის მუზეუმში არავინ იწყებს სტატიების კითხვას. საინტერესო აქ ფოტო და ვიდეო მასალაა. ვათვლიერებდი ექსპოზიციას და ვიგრძენი, როგორ მძულს ჟურნალისტიკის პროფესია. არასდროს მიმუშავია ე.წ. ნიუსებზე ახალ ამბებში, მაგრამ სადაც მიმუშავია, მინახავს, როგორია „ოპერატიული ნადირობა“ ექსკლუზიურ ინფორმაციაზე.

მაგრამ თავი დავანებოთ საქართველოს და ქართულ ჟურნალისტიკას, რომელიც არც არსებობს, პატარა გამოცემების გარდა. მუზეუმში დიდი და ეფექტური ფოტოების თვალყურებისას, რომელიც ბუნებრივ კატასტროფებს, ომს თუ ნებისმიერ სხვა ტრაგიკულ მოვლენას ასახავს, კადრს მიღმა სწორედ ამ ნანადირევით (ფოტო, კადრი) აღფრთოვანება ჩანს და არავითარი თანაგრძნობა.

მუზეუმის შენობიდან აპათიური განწყობით მხოლოდ მე არ გამოვსულვარ. გამიხარდა, რომ რამდენიმე ჩემი ევროპელი კოლეგაც, (თანაც, ნამდვილი ჟურნალისტები არიან ჩემგან განსხვავებით და არა – „კოლუმნისტები“), იმავეს ამბობდნენ. ეს არის ტიპური სპეკულაცია ადამიანის ტრაგედიით, რომელიც ამერიკელებმა ფეტიშად აქციეს. რაც უფრო მომაკვდავს და რაც უფრო კარგად გადაიღებს ჟურნალისტი, მით მეტი შანსია მოხვდეს NEWSEUM-ის კედლებზე. ეს შენობა და მასში განთავსებული ექსპოზიცია საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ვაქცევთ ადამიანურ ტრაგედიას სანახაობად და ამის ოსტატები სწორედ ამ სანახაობაზე მონადირე ჟურნალისტები არიან – ამიტომ მძულს პროფესია ჟურნალისტი.

WASHINGTON POST

საბედნიეროდ, მხოლოდ ეს არ არის ამერიკული ჟურნალისტიკა. პროგრამის ფარგლებში Washington Post-ის ლეგენდარულ ჟურნალისტს ბობ ვუდვორდს შევხვდით. შეხვედრა სახელმწიფო დეპარტამენტის უზარმაზარ დარბაზში ჩა-

ტარდა და მას 100-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტი ესწრებოდა.

„ასწიეთ ხელი მათ, ვისაც შეგიძლიათ, თქვენი ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტში დასხდეთ და საჯაროდ გააკრიტიკოთ თქვენი ქვეყნის ხელისუფლება?“ ხელი ნახევარ დარბაზზე ნაკლებმა ასწია. „ასწიეთ ხელი, ვისაც არ შეგიძლიათ ეს.“ აქ ხელი ნახევარზე მეტმა ასწია. „ასწიეთ ხელი მათ, ვინც არ ხართ დარწმუნებული...?“ – სულ რამდენიმე ასწია ხელი. ასე დაიწყო ბობ ვუდვორდმა შეხვედრა საერთაშორისო ჟურნალისტებთან.

ალბათ, გაინტერესებთ, რომელ დაცხებაზე ავწიე ხელი? არც ერთზე! რადგან ვიდრე მე პასუხზე ვფიქრობდი, პროცესმა ჩაიარა. ჯერ ვიფიქრე – პრინციპში, რატომაც არა? შემიძლია მივიდე, სადაც გნებავთ – პარლამენტი იქნება თუ პრეზიდენტის ადმინისტრაცია – და ხმა მაღლა გავაკრიტიკო ჩემი ხელისუფლება. თუმცა, მერე მივხვდი – არც ერთგან და არც მეორეგან მე არ დამიძახებენ. ამიტომ ბოლოს თავი მივაკუთვნე ჯგუფს – „არ ვარ დარწმუნებული“.

სახელდახელო გამოკითხვის ჩატარების შემდეგ ბობ ვუდვორდი ობამას ადმინისტრაციის ღია და მკვეთრ კრი-



„დილით, როდესაც ვიღვიძებ, ვრთავ ტელევიზორს, კომპიუტერს, ყველგან ვკითხულობ და ვუყურებ სიახლეებს და შემდეგ ვფიქრობ – ნეტავ, რას მალავენ ეს დამპყლები?!“ – ბობ ვუდვორდი.

ტიკაზე გადავიდა. ამერიკული პოლიტიკის ვუდვორდისეულ შეფასებას არ მოვყვები, რადგან დღეს ჩვენ ჟურნალისტიკაზე ვსაუბრობთ. თანაც, ვუდვორდმა ამ შეხვედრაზე გაცილებით მეტი ისაუბრა პროფესია ჟურნალისტზე და თანამედროვე მედიაზე, ვიდრე პოლიტიკაზე. „ვოტერგეიტის“ სკანდალის გამომძიებელმა ჟურნალისტმა ალიარა, რომ ბუნებრივია, მედია უპირველესად პროპაგანდის იარაღია. რაც უნდა თავისუფალი იყოს მედია, ეს არ გამორიცხავს, რომ მას არავინ გამოიყენებს პროპაგანდისთვის.

„ყველა მოვლენის მიღმა, რაღაც იმალება. დილით როდესაც ვიღვიძებ, ვრთავ ტელევიზორს, კომპიუტერს, ყველგან ვკითხულობ და ვუყურებ სიახლეებს და შემდეგ ვფიქრობ – ნეტავ, რას მალავენ ეს დამპყლები?!“ (იგულისხმება ქვეყნის ხელისუფლება). არასდროს ელოდოთ პოლიტიკოსებისგან თუ საინფორმაციო საშუალებებისგან, რომ ის სრულ სინამდვილეს მოგანვდით. ყოველთვის რაღაც დამალულია. ეძებთ ის, რაც კადრს მიღმა დარჩა.

შესანიშნავია, შედარებით ახალი და აქტიური ტენდენცია, რომ რომელიმე გაზეთის რედაქტორს თუ ჟურნალისტს არ მართებს ე.წ. „ობიექტურობა“ საუბარში. არც ბობ ვუდვორდს დაუმაღლავს, რომ „რესპუბლიკელებისა“ და ჯორჯ ბუშის პოლიტიკის მომხრე იყო.

მისი მოსმენისას, ბუნებრივად დავინყე ფიქრი – რა იმალება კონსერვატორების ღია აპოლოგეტის, ბობ ვუდვორდის სიტყვების მიღმა?! ვლინდება თუ არა მისი პოზიცია მის საქმეში, ანუ ჟურნალისტიკაში? არ გეგონოთ, რომ ძალიან ჭკვიანი ვარ და ამ კითხვებზე პასუხი მოვნახე. ვერაფერი დავინახე, გარდა თავისი საქმის პროფესიონალი, ძალიან ცოცხალი და ჭკვიანი ადამიანი. მასთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ გამახსენა, რომ ჩემს ქვეყანაში, კვირის ანალიტიკური გადაცემის ავტორისთვის ამერიკელი პედაგოგების ჩამოსვლა ჯერ ისევ სენსაცია და „ჩვენი გადაჯიშების“ წინაპირობაა – ჩემს სამშობლოში ხომ სექსი ჯერ ისევ ლათინური სიტყვაა და ქართულად გათხოვებას ნიშნავს. □

თბილისობა



ყველა ცოდვას შემინდობს ჩემი თბილისი
(ფრაგმენტი სიმღერიდან)

ლაშა ზულაძე, მწერალი



ფოტო: გიორგი საბანელიძე

თბილისობა 2010

არა, რა... რაც მართალია, მართალია – ე. შევარდნაძემ მშვენიერ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი... თან როდის? – გაგანია საბჭოურ პერიოდში! აი, იმ დროს, პიკში რომ იყო საქ სსრ (ერთმა ქუთაისელმა კაცმა მითხრა: აქანა ე მაშინ უნდა ჩამოსულიყავით, ქუთეთისის პიკი რომ იყო! – მჟავანაძე-შევარდნაძის მმართველობის ხანა იგულისხმება!) ხოდა ზეიმიც არის და ზეიმიც – ის, რაც ცეკას მდივანმა დაგვიტოვა, ყველა დღესასწაულს მიჩვევია! რატომ? იმიტომ, რომ საბჭოური კია, მაგრამ აი, როგორ ვთქვა... მაინც ქართულია ძალიან... უხ... ჩვენია, ქალაქურია! პოეტმა არ თქვა? – ქალაქი ქალაქობს, ქალაქელიც ზეობსო... აი, ეგრე!

განა რამე შეედრება იმ სურნელებას, რომელსაც მთელ ქალაქში ჩამომდგარი დამწვარი ხორცი აყენებს თბილისობაზე? გამოაღებ ფანჯარას, ჰაერს ჩაისუნთქავ და იფ – ფილტვებს მაშინვე ამოგივსებს მწვად-ქაბაბ-კუპატის მძაღე ჰარომატი...

რა კარგია, გაღმევისთვის კიდეც ერთ მიზეზს რომ ნახულობს ჩემი თანაქალაქელი! განა რაიმე სჯობს გართობის მატებარი, მთვრალი და მყვირალა ბიჭ-ბუჭობის ხილვას? ანკი რა სჯობია იმის სმენას, როგორ ბლავის ნასვამი ქართველი თბილისობის რომელიმე კონცერტის შემდეგ? „მივალ, მივბლავი ჩემი ქალაქის ლამაზ ხვეულებს...“

კონცერტები ვახსენე და ბარემ აქვე გამოვტყდები: არაფერი მინახავს თბილისობის კონცერტებზე უფრო „რასკომნი“, დახვეწილი და გემოვნებიანი! არსად ასე არ მღერიან ჩვენი საპატიო მოქალაქეები, როგორც ამ ქალაქის ქალაქობაზე!

ისიც მიყვარს და მალეღვებს (ზოგჯერ, არ დავმაღავ, ცრემლიც მომდგომია), ჯაჭვში რომ ებმებიან ჩვენი ქალაქის უფროსები თუ რჩეულ-რჩეული დეპუტატები და რიტმულად, შეწყობილად რომ ტუცავენ ფეხებს ყურძენში... ბევრი ვერაფერი შეედრება „კურიერის“ ამ ნიუსს!

სად ჩვენი ამჟამინდელი ხელმძღვანელობა და სად ედუარდის რაიკომის მდივნები? ჩვენები მათზე ბევრად უფრო გამრჯედ და გულიანად შრომობენ თბილისობის საწინააღმდეგო იმათ, როგორც მახსოვს, რაღაც მოჟამული სახეები ჰქონდათ, ახლანდელები კი, ვენაცვალე, ასეთ დროს ყოველთვის გაბადრულები არიან... „მიყვარხარ ამომრჩეველო, ქალო და კაცო ერთადა“ (ჯ. პერტახია, „ოდა თბილის-ქალაქს“).

ფერად-ფერადი ნაგავიც ბლომად გროვდება თბილისობის გასრულებისას – არც მეტი, არც ნაკლები, ნეაპოლში გეგონება თავი...

მოკლედ, დიდებული ზეიმი და დიდებული ტრადიციაა! თუმცა ეს კი არ ვიცი, საბჭოური სიმბოლიკის (თუ დანატოვარის) აკრძალვა-ალაგმვით გულანთებული დეპუტატი რაღას ფიქრობს ამ ყველაფერზე? თბილისობა რა, ვახტანგ გორგასალის დაარსებული ჰგონია? ამან, შევახსენებ, უშუალოდ თბილისი დააარსა და არა ეს შესანიშნავი საღრეო...

ყველაფერსაც ნუ დაუუკარგავთ ამ კომუნისტებს. რაღა მხოლოდ ორნამენტები და ბარელიეფები გვეჩხირება თვალში? ☒

მლანჯაჩა "დიქსი", თითქმის, ხობოხს "სტიქსი"



გია ყანჩელის 75 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში.

დავით ბუზნიციძე



„სტიქსი“

ფოტო: ლევან სარგაძე

...ამჯერად არც მობილურების წკრიალი ისმოდა, არც მოგუდული ჩახველება და არც ფრთხილი ჩურჩული! თელავის მუსიკალური ფესტივალისგან განსხვავებით, სადაც პუბლიკამ ხმაურის გამო მაესტრო გია ყანჩელისგან საჯარო შენიშვნა მიიღო, რუსთაველის თეატრში მისული მსმენელ-მაცურებელი ლამის საგანგებოდ გატრუნულიყო. იქნებ, ცნობილი კომპოზიტორის 75 წლის იუბილეს სულ

სხვა მაგია აქვს და ვთქვათ, „დიქსის“ შესრულებამ განაპირობა მუსიკალურ-დრამატული განცდა და ქვეცნობიერი რიდი.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში აჟღერებული ნაწარმოებების შემდეგ – „ნმა და ვიოლინო“ (რომელიც ყანჩელმა დიდ მუსიკოსს, იეჰუდი მენუჰინს მიუძღვნა), EX CONTRARIO (პირველი შესრულება იტალიაში, ანდრეს მუსტონენის დირიჟორობით),

NINNA NANNA (ფლეიტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, პრემიერა სიეტლში 2008 წელს) და CHIAROSCURO („შუქ-ჩრდილები“ ვიოლინოს, ალტისა და ორკესტრისათვის, პრემიერა 2010 წლის სექტემბერში) – დიდი კომპოზიტორის იუბილემ რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზში გადაინაცვლა.

ჯერ აჟღერდა „დიქსი“ (DIXI, შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის), ხოლო მეორე განყოფილებაში

რობერტ სტურუას მიერ წლების წინ დადგმული სპექტაკლი „სტიქსი“, რომელიც სწორედ ყანჩელის მუსიკითაა შთაგონებული. ორკესტრის თანხლებით მისმა შესრულებამ, ცხადია, გაცილებით მძაფრი დრამატული და მუსიკალური შეგრძნებები გააღვიძა, ვიდრე ფონოგრამის შემთხვევაში.

ვერ ვიტყვოდი, რომ ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკა მემანშივილის მორცხვად დელიკატური დირიჟორობით, რაიმე განსაკუთრებულს ჩადიოდა. პირველ ნაწარმოებში ის ზუსტად და მოთმინებით მისდევდა კომპოზიტორის ჩანაფიქრს, რომელშიც მეტ მონაფობრივ-მონამეობრივ ერთგულებას იგრძნობდით, ვიდრე იმპროვიზაციით გაბრუნებულ თავისუფლებას. არც ალტზე „გადაწყობილი“ ცნობილი მევიოლინე, ბენჟამინ მარკიზ გილმორის დაკვრაში იყო რაიმე ახალი ან ცხადად ექსტრაორდინარული, სცენაზე გადაადგილებას და სპექტაკლის სტრუქტურაში ჩართვას თუ არ ვიგულისხმებთ.

გია ყანჩელი, წლების განმავლობაში, არ ღალატობს საკუთარ მუსიკალურ ენას, სტილს; საყვარელ კონტრასტულ ხერხს, როცა სამყაროს ხმაურიან და დრამატულ კატაკლიზმებს (ფორტე)

ლამის მდინარის დინების სიჩუმეს (პიანო) უპირისპირებს. გამომსახველობითი მინიმალიზმით აღწევს მაქსიმალურ ეფექტს და რაც არსებითია, თავისივე შექმნილ მუსიკალურ პარადიგმას არასდროს არღვევს.

ყანჩელის მუსიკა თითქოს ფიზიკურად გამყოფობთ ხანგრძლივი, საბედისწერო სიჩუმის დაძაბულობაში, რასაც გუნდისა და ორკესტრის კატასტროფული „ამოფრქვევა“ მოსდევს და ეს მსმენელისათვის დავიწყებული თუ ნაშლილი კათარზისის ტოლფასია... ასეა „სტიქსშიც“, სადაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მუსიკა, არამედ ფონემა. ქართული სიტყვები ლამის ასოციაციურად აცოცხლებს ჯერ ტაძრებისა თუ საგალობლების სახელწოდებებს, შემდეგ კი კომპოზიტორის განსვენებული მეგობრების სახელებს.

ცხადია, მუსიკა განუყოფელია სპექტაკლ „სტიქსისგან“, რომელიც რობერტ სტურუამ ჯერ კიდევ 2003 წელს, მღელვარე ნოემბრის დღეებში წარმოადგინა რუსთაველის თეატრის სხვენში. მოგვიანებით ის თეატრის რეპერტუარშიც დამკვიდრდა და დღემდე უცნაურ და აუხსნელ შეგრძნებებს აღვიძებს მაყურებელში. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენთვის საკმა-

ოდ უჩვეულო, „ფიზიკური თეატრის“ ჟანრს განეკუთვნება.


ეს ირონიულ-პოლიტიკური თუ მკაფიო სოციალური მეტაფორებით დატვირთული ქორეოგრაფია, რომელშიც, ბედის ირონიით, რეჟისორი უფრო ქარონის როლს ასრულებს (გადააჰყავს რა „მიცვალებულები“ მდინარე ჰადესის მეორე ნაპირზე), მეგზურად და რითმად სწორედ ყანჩელის მუსიკას ირჩევს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან სტურუას თეატრი წარმოუდგენელია ყანჩელის მუსიკის გარეშე.

მუსიკის (ალტი, შერეული გუნდი და ორკესტრი) გავლენით სპექტაკლის ძნელად გასაგები, მაგრამ მღელვარედ შთამაგონებელი ასოციაციები მაინც გაიძულებით, ამ უცნაურ, უსიტყვო თამაშში ჩართოთ. „სცენური სითეორიდან“ გამოდევნილ მოძრავე თუ მოცეკვავე სხეულებს თითქმის განყვეტილი აქვთ სულიერი კავშირები ერთმანეთთან.

მხოლოდ ფინალში, სცენის სიღრმიდან წამოსული სინათლე აახლოებს შეყვარებულ წყვილს ერთმანეთთან. ისევე, როგორც ალტის სოლო და მიწავლებული ორკესტრის თემები ახსენებს მაყურებელს თუ მსმენელს პირველ განყოფილებაში შესრულებულ „დიქსი“. ეს ერთი შეხედვით, შორეული და უნებლიე გადაძახილია, მაგრამ ამ ორ ნაწარმოებს შორის არის ტონალური და თემატური მსგავსება.

2009 წელს ბავარიის რადიოს დაკვეთით შექმნილი „დიქსი“ შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის კომპოზიტორმა გარდაცვლილ მეგობარს, დირიჟორ ჯანსულ კახიძეს მიუძღვნა. ხოლო შორეულ 1999 წელს, სახელოვანი ალტისტის, იური ბაშმეტიასთვის დანერგილი „სტიქსი“ – ასევე გარდაცვლილ მშობლებსა და მეგობრებს. რაღაც საერთო, ნათელი სევდა თუ მუსიკალური გამოხატვის საინტერესო ფორმა უდავოდ აახლოებს ამ ორ ნაწარმოებს ერთმანეთთან.

ამიტომაც მღელვარე „დიქსი“ ჟღერს თითქმის როგორც „სტიქსი“... გარდაცვლილი და ცოცხალი მეგობრები ხომ მუსიკაში თანაბარი პატივით სარგებლობენ. □



ფოტო: ლეონ კირილაშვილი


გია ყანჩელი

მახა აუხაბაიბს მოსწონს შენი სტატუსი



„სოციალური ქსელი“ აღწერს ახლად გაჩენილ სამყაროს – სადაც მეგობრები ერთმანეთს დაბადების დღეს „კედელზე“ ულოცავენ, აზრის სისწორე ან მახვილგონივრულობა კი „ლაიქებით“ განისაზღვრება.

ნიკო ნერგაძე



ფრაგმენტები ფილმიდან „სოციალური ქსელი“

„ჯერ ფერმებში ვცხოვრობდით, შემდეგ ქალაქებში; ახლა კი ინტერნეტში ვცხოვრობთ“ – ამბობს შონ პარკერი ფილმში „სოციალური ქსელი“. შონ პარკერი „ნაპსტერის“ თანადამფუძნებელია. ფილმი კი, ალბათ, უკვე იცით, მარკ ცუკერბერგზეა – ბიჭზე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ ახალი საცხოვრებლის ინტერიერის შექმნაში.

მარკ ცუკერბერგი „ფეისბუქის“ ავტორია. მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი. მილიონობით ადამიანის ერთმანეთთან დაშავების რეგული. ამასთან, ყოვლად უსიამოვნო ტიპი.

მისი ხასიათი ფილმის დასაწყისიდანვე ჩანს: ცუკერბერგი გერლფრენდთან ერთად კემბრიჯის სმაურიან ბარში ზის და დუდღუნებს, თუ როგორ უნდა ჰარვარდის ექსკლუზიურ კლუბში მოხვედრა. მთავრდება იმით, რომ „ფეისბუქის“ მომავალი დამარსებელი გოგოს გარეშე რჩება. თუ რატომ, ამას ფილმში თავად გოგო ამბობს: „წარმატებული და მდიდარი იქნები. მიუხედავად ამისა, მთელი ცხოვრება გეგონება, რომ ქალებს იმიტომ არ მოსწონხარ, რომ „კომპიუტერშიკი“ ხარ. მინდა მთელი გულით გითხრა,

რომ მართალი არ იქნები. მათ იმიტომ არ მოეწონები, რომ ტრაკი ხარ“.

ფილმის ნახვის შემდეგ ამ შეფასებაში ეჭვი, ალბათ, ცოტას თუ შეეპარება. ცუკერბერგი კარგი ადამიანი ნამდვილად არ არის. თუმცა, ისიც რთულია, რომ ცოტათი მაინც მისკენ არ იყო. მისი მონინალმდეგეები კიდევ უფრო უსიამოვნო ხალხია – მდიდარი, გამონკეპილი ჰარვარდელები, კარგი ამერიკული ოჯახისშვილები, კარგ ცხოვრებას მიჩვეულები...

ამათი განსახიერება ტყუილი ძმები ვინკლვოსები არიან, რომლებიც ცუკერბერგს იმ დროისთვის პოპუ-



სპეციალური შეთავაზება



მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე შეგიძლიათ გამოიწეროთ ჟურნალი „ლიბერალი“ **თითქმის ნახევარ ფასად!**

წლიური ხელმოწერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი **ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!**

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: **(899) 48 62 41**
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **info@liberali.ge**

ლარული საიტების, „მაისპეისის“ და „ფრენდსტერის“ ჰარვარდული ვერსიის შექმნას შესთავაზებენ. ცუკერბერგი კი აიღებს და თავისთვის გააკეთებს „ფეისბუქს“. ტყუპები იდეის მოპარვისათვის მას სასამართლოში უჩივიან...

თუმცა, ამ კინოში მთავარი ეს არ არის. ისედაც, მოსაყოლად ბევრად უფრო ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე სანახავად. ფილმი კარგია, ერთი ამოსუნთქვით საყურებელი, ხალხიც ბევრი დადის და კრიტიკოსებიც აქებენ. მართლაც, „სოციალური ქსელი“ ჯერ-ჯერობით კრიტიკოსების წლის ყველაზე უფრო მოწონებული ფილმია და, ბევრის აზრით, „ოსკარის“ სერიოზული პრეტენდენტი.

ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ დე-

ან მახვილგონივრულობა იმით განისაზღვრება, თუ რამდენი „ლაიქი“ მიიღო.

„ფეისბუქი“ პირველი სოციალური ქსელი არ ყოფილა. პირველი იყო ზემოთ ნახსენები „ფრენდსტერი“, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს. ქართველთა უმეტესობისთვის სოციალურ ქსელებთან ურთიერთობა ავადხსენებული „ოდნოებიდან“ დაიწყო. ბევრი დღესაც იქ არის, თუმცა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ დიდი გადმობარგება დაწყებულია. „ფეისბუქს“ 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს და ეს რიცხვი ყოველ წუთში იზრდება. ყველას უნდა, მოკლას დრო სამსახურში, გაიგოს, თუ როგორ გამოიყურება ყოფილი შეყვარებული, ამცნოს მეგობრებს, თუ რას აკეთებს ამ წუ-

კინოთეატრიდან გამოსულები ერთმანეთს დიდხანს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. ყველაზე მოხდენილი ფრაზები ერთ საათში „ფეისბუქის“ სტატუსებად გადაიქცევა. თუმცა, რალა ერთ საათში. ბევრი იქვე, ტელეფონიდან განაახლებს თავის გვერდს. მარკ ცუკერბერგს მოსწონს ეს. ამიტომაც, რომ ის მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია.

ვიდ ფინჩერია კარგი რეჟისორი და მსახიობებიც კარგად თამაშობენ. არც იმიტომ, რომ მაინცდამაინც დოკუმენტურად აღწერს მოვლენებს. (თავად ცუკერბერგმა ფილმს სრული გამოწონი უწოდა, სცენარისტი კი ამბობდა, ჩემთვის ამბავი იყო მთავარი და არა – სიმართლეო). ფილმი ჯერ გამოსული არ იყო, რომ უკვე უზარმაზარი ინტერესი ახლდა თან.

„სოციალური ქსელი“ აღწერს ახლად გაჩენილ სამყაროს. ისეთს, როგორც შონ პარკერმა დაინახა. სადაც უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინტერნეტში გადადის საცხოვრებლად. სადაც მეგობრები ერთმანეთს დაბადების დღეს „ფეისბუქის“ კედელზე ულოცავენ. სადაც გამონათქვამის სისწორე

თას, რომ წვიმამ ჯერ კიდევ არ გადაიღო, რომ ავტობუსში სუნიანი კაცი იჯდა.... მერე ორ, სამ ან ოც მეგობარს „მოსწონს ეს“.

ფილმს რომ მოეუბრუნდეთ... უმეტესობა მხოლოდ იმაზე კამათობს, „სოციალური ქსელი“ კარგი ფილმია თუ ძალიან კარგი ფილმი. კინოთეატრიდან გამოსულები ერთმანეთს დიდხანს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. ყველაზე მოხდენილი ფრაზები ერთ საათში „ფეისბუქის“ სტატუსებად გადაიქცევა. თუმცა, რალა ერთ საათში. ბევრი იქვე, ტელეფონიდან აახლებს თავის გვერდს. მარკ ცუკერბერგს მოსწონს ეს. ამიტომაც, რომ ის მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია. **■**

ჩუნის სახელი



ხანდახან, თავიანთი ხელფასის გადამკიდე, ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ ყოვლისშემძლენი არიან. დიდი ილუზიაა.

გიო ახვლედიანი

მთელი წინა კვირა ინგლისურ მედიაში პოლ სტრეტფორდისა იყო. წინა კვირაც და ალბათ, იმის წინა კვირაც. აქამდე ინგლისური მედია დიდად არ დაინტერესებულა, ვინ იყო პოლ სტრეტფორდი. იცოდა, რასაკვირველია, ვინ იყო, და მისი სახელი, ალბათ, აქა-იქ წიგნებშიაც ამოეკითხა ხალხს, მაგრამ მისი ბოლო ოპერაცია ნამდვილად საპირველგვერდო იყო.

პოლ სტრეტფორდი, ოდესღაც მტვერსასრუტების კომპოზიციონერი, უკვე კარგა ხანია, რაც უეინ რუნის აგენტია. თავის დროზე, მან უნლოვანი რუნი ერთ ლივერპულელ აგენტს აახია. იმის შემდეგ, აბა, რამდენი დრო გავიდა და თუკი ვინმე ჰყავს პატრონ-მზრუნველი „მანჩესტერის“ მეთაურად, სწორედ ეს სტრეტფორდი. მეორე მამააო, ასე იტყვიან. ეგ კი არა და რუნის ცოლის, კოლინის რამე-რუმე ბიზნესებზეც ისა ზრუნავს.

ჰოდა, რაც მოხდა, ყოველი ფეხბურთის არმოყვარულიც მოკრავდა ყურს: მოულოდნელად მედიაში ხმა გამოვიდა, უეინ რუნი „მანჩესტერთან“ კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებსო. გუნდის პასუხისმგებელს, დევიდ გილს ელაპარაკა და „მანჩესტერის“ სამომავლო ამბიცია დაუნუნა, ჩემნაირი ფეხბურთელი აღარ დააპირებს ისეთ გუნდში თამაშს, რომელიც ვარსკვლავებს არ ყიდულობსო. ანუ, გუნდის ჩემი მხრებით თრევას არ ვიზამო.

ეს ტყუილი იყო. ოლონდაც, მიზეზად გამოდგებოდა. რაღაც ხო უნდა თქვა. ჰოდა, ეს მოიგონეს. რუნიმ რა, პოლ სტრეტფორდმა, ალბათ. საკუთრივ რუნის იმის მოგონებაც არ შეუძლია, ფეხი სტკივა თუ არა.

ამ ამბავმა დაზაფრა სერ ალექს ფერგიუსონი, „მანჩესტერის“ მეთვალყურე მენეჯერი. დაზაფრა იმიტომ, რომ რუნის კონტრაქტი კი კარგა წელიწადნახევარს არ გასდის, მაგრამ ფეხბურთელს რომ თამაში არ უნდა, უნდა გაყიდო, სანამ ფასი აქვს, თორემ, მერე უფასოდ წავა.

თანაც, პრემიერ-ლიგაში კონკურენცია წელს რომ არის, არასდროს ყოფილა. თანაც ხმა გავარდა, რუნის მთლად უნა-

მუსობა ჩაუდია გულში, „იუნაიტედის“ მეზობელ „სიტის“ აპირებს გადასვლას, სადაც არაბი შეიხები ისეთ ხელფასებს იხდიან, რომ პრემიერ-ლიგის ზოგ გუნდს ბიუჯეტად ეყოფა.

ფერგიმ თავისი ზაფრა არ დამალა. შვილივით გვყავდაო, ბავშვი იყო, 25 მილიონად რომ ვიყიდო. ჩვენი უამბიცოების ამბავი დაცინვააო და ასე შემდეგ. უკეთ როგორა ვთქვა – რაც რუნიმ გააკეთა, ინგლისში ცუდი საქციელია. ალბათ, სხვაგანაც, მაგრამ აქ კიდევ დამატებითი ამბავი ახლავს. როცა გამოჩნდება, რომ ამას სუფთად ფულისთვის აკეთებ, შენი სამაგალითო ტიპობა იმწუთას ქრება. დაახლოებით იგივეა, მეძავს რომ გამოგიგეჟავენ. გამოუქექეს კიდევ ცოტა ადრე, მაგრამ, ასე თუ ისე, ჩაიფარცხა.



მოკლედ, რუნის იმდენი ხელფასი უნდოდა, რამდენსაც „სიტის“ მისცემდნენ. ან დაახლოებით იმდენი. და მძიმე სეზონს შემდგარმა სერ ალექსმა არ გარისკა. ორ დღეში, ვითომ არაფერი ყოფილაო, რუნის ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, 200 ათასით კვირაში, რაც, როგორც გაირკვა, უფრო 310 ათასია. ჰოდა, ვითომ არაფერი ყოფილაო. გაცინებული სურათი და მთელი ამბავი.

ოლონდაც, საკვირველი ეს არის, რომ რუნის სერ ალექსი მინც არ სცნობია. მოანერჩინა თუ არა ხელი, გუნდის წინაშე ბოდიში მოახდევინა, ის როგორ იყო, რომ იძახდი, მაგათთან ერთად თამაშს რა აზრი აქვსო. მერე კი სასწრაფოდ განუახლა კონტრაქტები ჯონ ომის და პატრის ევრას, აქაოდა მეზობელი „სიტის“ ვერავი ხელი ამათაც არ წაეპოტინოსო. დაშავებული რუნის ნაცვლად ძირითადად ხავიერ ერნანდესი შეიყვანა და იმანაც ცოლებით ამოავსო კარი.

და ესეც არ არის საკმარისი. რუნიმ არ იცის, რომ მისთვის სერ ალექსი დამთავრდა. საკვირველი კია, როგორ არ იცის. კაცმა კანტონა გაუშვა, ბექემი გაყიდა და როი კინი ერთ დღეში დაითხოვა გუნდიდან. რუნისაც ეგ დღე ელის, დღეს თუ არა ხვალ. ეგ ეგრე იქნება.

უბრალოდ, ხანდახან, თავიანთი ხელფასის გადამკიდე, ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ ყოვლისშემძლენი არიან. დიდი ილუზიაა. □

ეხოსაქ ავჯანაში

(თბილისის უბნები თვალის ეხთი შავდაბით. ნაწილი I)



კახა თოლორდავა

ჯერ ტრამვაის გაუქმებული ლინდაგის ნაჭრილობებს მივუყვები, მერე კი მარჯვნივ ვუხვევ, ქუჩაზე გადავდივარ და პროსპექტის გასწვრივ ჩამწკრივებული ერთფეროვანი კორპუსების გავლით, ქალაქური სივრციდან სოფლურ გარემოში ვხვდები, ვინრო ქუჩების და ორღობების ლაბირინთში. თბილ ნიავს ჯერ ზღვის ფანტომური სუნი მოაქვს საიდანდაც, მერე რკინიგზის შპალების, და მხოლოდ ამის შემდეგ – ნაკელის. ცალ-ცალკე მოვარდნილი სამივე ეს სუნი აქაურობას თავისებურად მანვდის. ზღვის სუნს ვარდისფერი სახლი მოჰყვება, თალიანი აივნებით და ვაზით შემკული ფასადით, შპალების სუნს ჯერ გაჩერებაზე მდგარი გოგონა, ფრჩხილებზე ნასმული ხასხასა ნითელი მანიკურით და ფსალმუნით ხელში, მერე კი ტუჩებმოთხერილი პატარა ბიჭი ბრონეულით ხელში. ნაკელის სუნით კი კერძო სახლებით და ხეხილის ბაღებით გარშემორტყმული ორღობების ის ლაბირინთია გაჟღერებული, სადაც ახლა მივბიჯებ. მალღობის დასაწყისში შემორჩენილ თაღებიანი გალავნის ნანგრევს ვანყდები. გარშემო არავინაა, უფრო სწორად მგონია, რომ არავინაა, სანამ ხმა არ შემომესმა: „მაქეთკენ ველარ ნახვალ!“ მხოლოდ ახლად ვამჩნევ ქვითკირის თეთრ ღობეზე ჩამოდებულ კაცის თავს. კაცი მიღმის და მხოლოდ ასე ვხვდები, რომ მოკვითილ თავს არ ველაპარაკები. წვიმას აპირებს.

ზემო ავჭალაში, თუ ყურადღებით ხარ და გარეუბნებისათვის დამახასიათებელი გარემო დამორგუნველად არ მოქმედებს შენზე, ადვილად შეამჩნევ, რომ განწყობაც სხვაა და ტემპიც. ეს, ალბათ, გაშლილი სივრცის ბრალი უნდა იყოს და ჩრდილოეთის გრილი ნიავისაც, ტყეების სუნი რომ მოაქვს თან. აქამდე სანამ მოვალნევი, გზაში ცხვრის უზარმაზარ ფარასაც გადავუღე სურათები, მეცხვარეებსაც, პოლიციის გამჭვირვალე შენობასაც და შუა პროსპექტზე მიტოვებულ დაღვნილ ავტომანქანასაც. „ხომ მშვიდობაა?“ – მეკითხება ვიღაც ჩამვლელი ამ დროს. ეს უკვე „მშვიდობაა,“ – ვანწყნარებ. „კარგია,“ – მპასუხობს ის, ჩვენგან მარჯვნივ, შორს, მთაზე აღმართული ჯვრისკენ ბრუნდება და პირველად იწერს. იგივეს აკეთებს გზის გადაღმა გაჩერებაზე მდგარი ორი ახალგაზრდა ქალი და ჩვენ წინ მდგარი პატონიც. სანამ გზას გავაგრძელებ, გაკვირვებული ვაყოლებ თვალს სამარშრუტო ტაქსს, რომლის ფირნიშზეც დიდი ასოებით წერია „საბურთალო.“ ვგრძნობ, რომ დისტანციის გაძლიერებული შეგრძნება მომერია. უცნაურია.

ახლა უკვე მარცხნივ, მტკვრის მიმართულებით ვეშვები, ადრე რომ შემამინებელ „ავ ჭალბად“ მოიხსენებდნენ. უკვე ლამის ორი საათია, ავჭალაში ვხეტიალობ, მაგრამ ენერგეტიკულად სწორედ



ავჭალის ეს „ავი“ მონაკვეთი მომწონს. ერთადერთი, რაც მანუხებს, ისაა, რომ აშკარად უცხოვად აღმიქვამენ აქაურები, თუმცა ამის საბაბს ნამდვილად არ ვაძლევი, – ჩვეულებრივად ჩაცმული შუა ხნის მელოტი მამაკაცი ვარ და ფოტოაპარატსაც მხოლოდ საჭიროებისამებრ ვიყენებ. და მაინც, ვგრძნობ, ჩამივლიან და თვალს მაყოლებენ. ეს არ მსიამოვნებს, მაგრამ ვერაფერს ვიზამ. მერე კი ვხვდები – სხვა ვინ უღებს აქ ფოტოს ღობეზე გასაფენად გადაკიდებულ შარვალს?

ბიჭვინთის ქუჩით ვახტანგ ლომიშვილის საკარმიდამო ეზოში მდგარი ისტორიული ციხე-სიმაგრისკენ ვეშვები. ის მეთვრამეტე საუკუნეში აშენებული თორმეტიდან ერთადერთი შემორჩენილი ციხე-სიმაგრეა. მართლაც ლამაზია, თუმცა დღეს მხოლოდ შორიდან ვახერხებ მისთვის თვალის შევლებას, აქვე, ეკლესიაში, ჯვრისწერაა და იქაურობა ხალხითა და მანქანებითაა ჩახერგილი. ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ ციხე-სიმაგრის დათვალიერების მცდელობას თავს ვანებებ და ჯვრისწერას ვესწრები ეკლესიაში. მერე კი ლამაზად ჩაცმულ, მუქ კოსტუმებში და თეთრ პერანგებში გამოწყობილ ახალგაზრდებთან ერთად ველოდები ნეფე-პატარძლის ეკლესიიდან გამოსვლას. აქ ჰაერი უკვე მდინარის სუნითაა გაჟღერებული.

ავჭალის რკინიგზის სადგურის ცარიელ პლატფორმაზე ავადმყოფი ძალი მეკიდება. ათ-თხუთმეტ ნაბიჯში მომყვება უკან. ქალაქის მიმართულებით კი მივბიჯებ, მაგრამ ის კი არ ვიცი, ჩემს წინ განოლილი ტალახიანი გზა საით გამიყვანს. ვიღაც ქალბატონს ვაჩერებ: „გამარჯობა ქალბატონო, ეს გზა საით გამიყვანს?“ ეჭვით გვიყურებს მე და იმ ძალს, მერე კი მეკითხება: „ამერიკელი ხარ?“



თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი
გორი, ქარალი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქოგულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

